ახალი იმედების ახალ 1996 წელს გილოცავთ!

ლელო

№49
(10960)

დეკემბერი. 1995 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია • ფასი 40 თეთრი

გამოდის 1994 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს“ საახალწლო ანკეტა

საახალწლო რეფერენდუმები წლის საუკეთესო სპორტსმენის, გუნდის ან მწვრთნელის გამოსავლენად სისტემატურად ტარდება ყველგან და, როგორც წესი, მიზნად ისახავს სეზონის მიღწევათა თავისებურ შეჯამებას. საქართველოში ყველაზე ძველი და ავტორიტეტული რეფერენდუმი სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვა გახლავთ, რომელიც 1964 წელს მოეწყო პირველად (სხვათა შორის, პირველ რეფერენდუმში წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებული იყო სახელოვანი ფეხბურთელი სლავა მეტრეველი) და რომელსაც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, როგორც წესი, ახალი წლის წინა დღეს აქვეყნებს.

ჯონდო მუზაშვილი.

თავიანთ საახალწლო ანკეტებსა და რეფერენდუმებს ატარებენ ცალკეული გამოცემებიც, სპორტის დეპარტამენტი და ა.შ. „ლელომაც“ გადაწყვიტა ამიერიდან მოაწყოს თავისი გამოკითხვა. დღეს გთავაზობთ ჩვენი რედაქციის საახალწლო რეფერენდუმის შედეგებს. მაშ ასე, ვინ მიაჩნია „ლელოს“ წლის საუკეთესო სპორტსმენად, როგორ გამოიყურება უძლიერესთა ათეული, რომელია სამი საუკეთესო გუნდი და სამი საუკეთესო ფედერაცია?

1. **ჯონდო მუზაშვილი** (სამბო) — მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი.

2. **გიორგი ვაზაგაშვილი** (ძიუდო) — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების II პრიზიორი.

3. **დავით ხახალეიშვილი** (ძიუდო) — მსოფლიოს ჩემპიონატის III პრიზიორი.

4. **მუხრანგოგია** (ძალოსნობა) — მსოფლიოს ჩემპიონატზე: ატაცში — III ადგილი, ორჭიდში—IV ადგილი, ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი.

5. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) — მსოფლიოს თასის გათამაშებაში II ადგილი.

6. **ელდარ კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა) — ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი.

7. **ივერი ჯიქურაული** (ძიუდო) — ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი.

8. **რუსუდან ხოფერია და ანა დოღონაძე** (ბატუტი, სინქრონული ხტომები) — ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი.

9. **გიორგი ჭინქლაძე** — ფეხბურთში ეროვნული ნაკრების წევრი.

10. **ტარიელ მელელაშვილი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში, მოზრდილთა მსოფლიოს ჩემპიონატზე V ადგილი.

წლის სამი საუკეთესო გუნდი:

1. მოჭადრაკეთა ნაკრები,
2. სამგზისტთა ნაკრები,
3. ფეხბურთში ეროვნული ნაკრები.

წლის სამი საუკეთესო ფედერაცია:

1. ჭადრაკის ფედერაცია,
2. სამგზის ფედერაცია,
3. ფეხბურთის ფედერაცია.

მანჩესტერში ასწავლიან ქართულს

გაზეთ სპორტ-ექსპრესმა (1995 წლის 22 დეკემბერი) დაბეჭდა თავისი ბირმინგემელი კორესპონდენტის კონსტანტინე კლეშჩევის წერილი სათაურით „მანჩესტერში ასწავლიან ქართულს“, რომელშიც ლაპარაკია ჩვენი თანამემამულის გიორგი ჭინქლაძის შესახებ.

ანოტაციაში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ჩემპიონატმა მხოლოდ ნახევარი გზა გაიარა, „მანჩესტერ სიტის“ ქართველი ნახევარმცველი გიორგი ჭინქლაძე სეზონის აღმოჩენადაა აღიარებული“. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ წერილიდან.

„როდესაც გასულ ზაფხულს „მანჩესტერ სიტიმ“ თბილისის „დინამოსგან“ 250 ათას გირვანქა სტერლინგად ყველასათვის უცნობი ნახევარმცველი გიორგი ჭინქლაძე იყიდა, ინგლისში მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ გაკვირვებისგან. თანხა ახლანდელი მასშტაბით არ იყო ლმობიერი, მაგრამ ეს ფული მაინც გადაყრილი ეგონათ. სეზონის დასაწყისმა სკეპტიკოსთა ვარაუდი თითქოს გაამართლა — 33 შესაძლებელი ქულიდან „მანჩესტერ სიტიმ“ დააგროვა მხოლოდ ორი და, ბუნებრივია, მტკიცედ დაიმკვიდრა სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი. გუნდს მეორე დივიზიონის რეალურ კანდიდატად თვლიდნენ.

შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ჭინქლაძე ინგლისურ ფეხბურთს ვერ შეეგუებოდა... მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა — „მანჩესტერი“ ათამაშდა. მე და ჩემი კოლეგები დარწმუ-

იხ. მე-6 გვ.

ტაისონი გვირგვინს უმიზნებს



გამარჯვებული მაიკ ტაისონი და იმედებგადაწურული ბასტერ მათისი, რომელსაც უჭირს ფეხზე წამოდგომა.

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ ფილადელფიის „სპექტრუმში“ მაიკ ტაისონმა მეორე ბრძოლა გამართა ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამჯერად მისი მეტოქე იყო ბასტერ მათისი-უმცროსი. მესამე რაუნდის მიწურულს მსოფლიოს ექსჩემპიონმა უძლიერესი დარტყმით მეტოქეს ნოკაუტით მოუგო.

ჯერ რამდენიმე სიტყვა იმაზე თუ ვინ არის ბასტერ მათისი-უმცროსი და რა ადგილი უკავია მას პროფესიულ კრივში. წარმოშობით იგი სპორტული ოჯახიდანაა. ბასტერ მათისი-უფროსი საკმაოდ კარგი მოკრივე იყო. გამოდიოდა მძიმე წონაში. ერთხელ მოჰამედ ალის შეხვდა, ერთხელ კი თვით ჯო ფრეზერს მოუგო. მაგრამ მაშინ ორთავე ახალგაზრდა იყო — 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადაში გამოსვლისათვის იკლავდნენ თავს.

მიმდინარე წლის 6 სექტემბერს ბასტერ უმცროსის მამა ინსულტით გარდაიცვალა. იგი 51 წლისა არც იყო. ამ ტრაგედიამ დიდად იმოქმედა შვილზე, ვინაიდან მამა, ამავე დროს, მწვრთნელიც იყო და მეგობარიც. ბასტერ მათისი-უმცროსი არ არის ჩვეულებრივი პროფესიონალი მოკრივის ტიპი. იგი სწავლობს მიჩიგანის უნივერსიტეტში მათემატიკისა და კომპიუტერების განხრით, დიდ დროს ანდომებს მეცადინეობას, ხშირად დადის ბიბლიოთეკაში და მონაწილეობს სტუდენტურ კოლოკვიუმებში.

ბასტერ მათის-უმცროსის სიმაღლეა 183 სანტიმეტრი, წონა — 104 კგ. პროფესიულ რინგზე ჩატარებული აქვს 20 ბრძოლა. ყველა მოიგო, მათგან მხოლოდ 6 — ნოკაუტით. 25 წლის გიგანტური აღნაგობის ყმაწვილი უჩვეულოდ გულკეთილია და მიამიტი. ამიტომ უყვართ იგი ნაცნობებს, მეგობრებს, ახლობლებს.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მისი სრული სახელი და გვარია ბასტერ დამატო მათის-უმცროსი. დამა-

იხ. მე-3 გვ.

ჩვენი მოკრივეებიც უმიზნებენ აზლანჭას

მალე საქართველოს მოკრივეებს ელით მეტად სერიოზული ასპარეზობა — ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც ახალი წლის დასაწყისში დანია უმასპინძლებს. იქ მონაწილენი ოლიმპიურ ლიცენზიებსაც შეეცილებიან ერთმანეთს. ახლახან ჩვენი მოკრივეები გამოვიდნენ ირანში (ქ. მაჰშარბა) რუსეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, რუმინეთისა და ირანის (3) გუნდებთან ერთად.

ქართველებს ურიგოდ არ უსპარეზიათ და შინ ყველა სინჯის მედლით დაბრუნდნენ. საგულისხმოა, რომ მათგან მხოლოდ გამარჯვებულ, გორელ ილია ტლაშაძეს (71 კგ) ჰქონდა საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება, დანარჩენების სახელები პირველად გამოჩნდა ასეთი მასშტაბის პრიზიორთა შორის. ესენია: 48 კგ წონის გორელი რამაზ ბებნაძე, რომელიც II საპრიზო ადგილზე გავიდა. ასევე II იყო ახალციხელი სამუკა გოგოლაური (75 კგ), ხოლო ფოთელ კობა გაბისონიას (54 კგ) წილად ხვდა ბრინჯაო.

ჩვენმა ნაკრებმა კი მესამე გუნდური ადგილი დაიმკვიდრა ირანისა და რუსეთის მოკრივეთა კვალდაკვალ. გუნდს ახლდნენ მწვრთნელები სერგო ბერძენიშვილი და სოზარ კულუა.

X X X

იმავე დღეებში ჩვენი მოკრივეები წარმატებით იბრძოდნენ აზერბაიჯანის დედაქალაქში აღალაროვის ხსოვნის ტრადიციულ ტურნირში. იქ მეორე პრიზიორები გახდნენ ქუთაისელი გიორგი ყოჩიაშვილი (48 კგ), თბილისელი თამაზ წკრიალაშვილი (60), ქუთაისელი მათე კოღუაშვილი (71) და ფოთელი ალბერტ ოჩიგავა (81).

ტურნირის გამარჯვებულები არიან: თეთრიწყაროელი ბესიკ ვარძელაშვილი (63,5), ქუთაისელები თენგიზ მესხაძე (67) და აკაკი კაკაურიძე (75), აგრეთვე ვარიანელი გიორგი კანდელაკი (91).

X X X

რუსული კრივის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელსაც მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიისკი“ მასპინძლობდა, მონაწილე 17 ქვეყანას შორის ყველაზე წარმომადგენლობითი მასპინძელთა გუნდი იყო მის სახელს 35 სპორტსმენი იცავდა, 12 მოკრივე იყო აშშ-ს ნაკრებში, 9 თურქეთისაში.

ტურნირზე საქართველოს სამად-სამი მოკრივე ჰყავდა მივლინებული: ფოთელი კობა გოგოლაძე (60 კგ) ქუთაისელი თენგიზ მესხაძე (67) და ვარიანელი გიორგი კანდელაკი (91), რომელმაც ფინალში დაამარცხა რუსეთის წარმომადგენელი ს. სოსნინი და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ფინალური ბრძოლების დღეს დარბაზში კიდევ ორი ქართული გვარი გაისმა — რამაზ ფალიანისა და პაატა გვასალიასი, რომლებიც რუსეთის სახელით გამოდიოდნენ და გაიმარჯვეს, შესაბამისად, ქვემსუბუქ და მსუბუქ წონით კატეგორიებში, სადაც მათ უძლიერესს სახელს ედავებოდნენ რუსეთის მოკრივეები ვ. ვლასოვი და ს. მალიკეევი.

ალექსანდრე ჩივაძე: არავითარი გამოცდილების შეძენა...

... ვიბრძოლებთ მხოლოდ ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობისათვის, — განაცხადა ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამოსვლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ გუნდს სწორედ ეს კონკრეტული მიზანი ექნება დასახული.

რაც შეეხება 1998 წლის მსოფლიო პირველობის შერჩევით ტურნირის რეგლამენტს, ეს გაირკვევა იანვრის ბოლოსათვის. მას შემდეგ, რაც II ჯგუფის გუნდების მწვრთნელები შვეიცარიებით ვარშავაში, მოვითათბირებთ შეხვედრათა კალენდრის შესახებ, რომელსაც წარეუდგენთ ფიფა-ს. იგი გაითვალისწინებს ყველა მონაწილის სურვილს განრიგის შესახებ და გამოაქვეყნებს ოფიციალურ კალენდარს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ბირთვს კვლავ ის 14 მოთამაშე წარმოადგენს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შერჩევით მატჩებში გამოდიოდნენ. მათ დაემატება ოლიმპიური ნაკრების სამი მოთამაშე — ღუდუშაური, ცქიტიშვილი, ა. არველაძე.

ამ დღეებში ა. ჩივაძეს სფფ-ს აღმასკომმა, როგორც 1995 წლის საუკეთესო მწვრთნელს, ა. ჟორდანიას სახელობის პრემია მიანიჭა.

გალა-საღამო მილანში

1996 წლის 8 იანვარს მილანში გაიმართება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტული გაზეთის, იტალიის „ლა გაზეტა დელო სპორტის“ 100-წლისთავისადმი მიძღვნილი გალა-საღამო, რომელზეც გამოცხადდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა. მანამდე კი ფიფას თავისებურ რეფერენდუმში ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა სამი პრეტენდენტი დაასახელეს: იტალიის „მილანის“ ლიბერიელი ლეგიონერი ჯორჯ ვეა, მისი თანაგუნდელი, იტალიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი პაოლო მალდინი და გერმანიის ნაკრების ფორვარდი, მიუნხენის „ბაიერნის“ მოთამაშე იურგენ კლინსმანი.

მოეწყობა აგრეთვე რიგითი მეხუთე გამოკითხვა „ფიფას წლის მოთამაშის“ გამოსავლენად. წინა ოთხ გამოკითხვაში გამარჯვებულები იყვნენ: ლოთარ მათეუსი (გერმანია), მარკო ვან ბასტენი (პოლანდია), რობერტო ბაჯო (იტალია) და რომარიო (ბრაზილია).

გალა-საღამოზე კიდევ რამდენსამე პრიზს გადასცემენ: ფრანგი ფეხბურთელი უაკ გლასმანი, რომელმაც გამოამუღავნა მარსელის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტის ბერნარ ტაპის მაქინაციები, მიიღებს ე.წ. „ფეერ პლეის“. ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს ოფიციალურად აღიარებენ 1995 წლის საუკეთესო გუნდად. იამაიკის ნაკრები კი დაჯილდოვდება სპეციალური პრიზით „ყველაზე დიდი პროგრესისათვის“.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ჟურნალისტი, „ლელოს“ ყოფილი თანამშრომელი

ბივი ბიორგის ძე კაკაბაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 26.XII 2 საათზე. მაჩაბლის ქ.№2/4.

ნაბიჯი დიდ სპორტში

ზარიელ მელელაშვილი

(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
დაბადა 1976 წლის 28 მარტს გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში.
სპორტსაზოგადოება „მართვე“.
სიმაღლე — 180 სმ, წონა — 68 კგ.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1985 წელს.
მწვრთნელები გოდერძი ჯოხაძე და ბეგი დარჩია
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.
პირველ წარმატებას მიაღწია 1988 წელს: მოიგო საქართველოს პირველობა ჭაბუკებში.
1992 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებში (65 კგ).
1993 წელს მოიგო ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი (63 კგ).
1994 წელს ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა (68 კგ).
1995 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (68 კგ), მოზრდილთა მსოფლიო ჩემპიონატზე კი V ადგილი დაიკავა.

● **სპორტსმენის ცხოვრებაში არის ხოლმე მომენტი, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვს. რა მიგაჩნიათ ასეთ მოვლენად თქვენს ბიოგრაფიაში?**

— 1992 წელს მოსკოვში ლიულიაკოვის საერთაშორისო მემორიალში ემონაწილეობდი. ამ ტურნირს ჩვენთვის, ახალგაზრდა მოჭიდავეებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ გამარჯვებული ავტომატურად იღებდა სტამბულის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს. ასპარეზობა ბრწყინვალედ ჩავატარე — მოვიგე ექვსი შეხვედრა და საუკეთესო მოჭიდავის პრიზიც დავიმსახურე. ამ ტურნირმა გამიხსნა გზა დიდი სარბიელისკენ. გამარჯვებას კი ვუმადლი ჩემს ყველა შემდგომ წარმატებას.

● **იქნებ ყველაზე უსიამოვნო შემთხვევაც გიხსენოთ?**

— წლეულს პრაღაში მოზრდილთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველივე ბრძოლა წავაგე რუმინელ ათლეტთან. მარცხი მუდამ გულდასაწყვეტია, მაგრამ პრეტენზია ამ შემთხვევაში არავის მიმართ არ მქონია, საკუთარი თავის გარდა. ამ მარცხის შემდეგ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი III საპრიზო ადგილით იყო შემოფარგლული და მივაღწევდი კიდეც მიზანს მსაჯებს რომ ოდნავი ობიექტურობა გამოეჩინათ მეექვსე წრეში და, საეჭვო დამარცხება არ მოესაჯათ ჩემთვის ტალინელ ნიკიტინთან ორთაბრძოლაში. არ მიყვარს მუშტის ქნევა წაგებული ბრძოლის შემდეგ, მაგრამ სიმართლეს ყველა ერთნაირად უნდა სცემდეს პატივს.

● **რა არის თქვენი ოცნების საგანი დღეს-დღეობით?**

— ჩემი დაალბათ ყველა ქართველი სპორტსმენის უპირველესი ოცნება ატლანტის ოლიმპიადაზე მოხვედრაა.

● **არის კი შანსები?**

— ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ლიცენზიები ჯერ არ განაწილებულა. გაისად მარტში უნგრეთი ევროპის მოჭიდავეთა ჩემპიონატს მასპინძლობს. ატლანტის საგზურებიც სწორედ იქ გაიცემა.

● **რა არის საჭირო ოლიმპიური ლიცენზიის მისაღებად?**

— შენს წონაში უსათუოდ უნდა მოხვდე პირველ ათეულში.

● **ძნელია ამ ამოცანის გადაწყვეტა?**

— წონას გააჩნია. 68 კილოგრამში, მაგალითად, ტრადიციულად ძლიერი ათლეტები მონაწილეობენ. ევროპის მომავალ ჩემპიონატზე, ჩემი ვარაუდით, ოთხი მსოფლიო ჩემპიონი მაინც იჭიდავებს. ესენია რუსი, რუმინელი, უკრაინელი და ფრანგი ათლეტები. რასაკვირველია, კარგი იქნება თუ ფავორიტებს არ შეხვდები პირველივე წრეში.

ტარიელ მელელაშვილს თავის თავზე საუბარი არ ჰყვარებია, ამიტომ ზოგი რამ მისი ჩვევების შესახებ თანაგუნდელებისაგან და უფროსი ამხანაგებისაგან გავიგეთ.

ტარიელი მოწინააღმდეგისათვის ერთობ მიუდგომელი მოჭიდავეაო, გვითხრეს მათ, ამავე დროს ითვლება ტექნიკურ მოჭიდავედ, რომელსაც მეტოქის ჩანაფიქრის ამოცნობის გასაოცარი უნარი აქვს. ამ კატეგორიის ათლეტები დიამეტრალურად განსხვავდებიან იმათგან, ვინც თავარ აქცენტს ფიზიკურ სიძლიერეზე აკეთებს. ცხოვრებაში, ისევე როგორც სარბიელზე, არის სამართლიანი და ყურადღებიანი, უყვარს შრომა. ჭიდაობა დაუწყია იმიტომ, რომ ბავშვობაში ფილტვებით იყო დაავადებული. ტარიელის სპორტსმენად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მამამისმა, თემურ მელელაშვილმა.

ხუთი რგოლის გარშემო

კიოდი (იაპონია) საგენტოს განცხადებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი 1996 წლის იანვარში სარაევოს პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს. პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს გააგზავნოს მშენებელთა ბრიგადა, რომელიც აღადგენს ქალაქის სპორტულ ინფრასტრუქტურას. ამ მიზნით მან გამოჰყო 10 მილიონი ამერიკული დოლარი. რეკონსტრუქცია უმთავრესად ეხება 1984 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ობიექტებს.

ვანკუვერმა ოქტომბერმა ნაწილობრივ დაარღვია ატლანტაში ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის გრაფიკი. ეს, პირველ რიგში ეხება სტოუნ მაუნტაინის ჩოგბურთის სტადიონსა და უოლფ კრიკის სასროლო ცენტრს. ახლა მშენებლები ცდილობენ გრაფიკის აღდგენას, თუმცა, მთლიანად მისი დაცვა შეუძლებელი იქნება, ვინაიდან ორივე ბაზა მწყობრში უნდა ჩამდგარიყო დეკემბრის მიწურულს. ახალი გრაფიკით სამუშაოები იანვრის ბოლო დღეებში უნდა დასრულდეს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში (ლოზანა, შვეიცარია) გამოცხადა, რომ 2004 წლის ოლიმპიადის მოწყობის მსურველთაგან ყოველმხრივ გაფორმებული საბუთები ჯერჯერობით წარმოდგენილი აქვს მხოლოდ შვიდ ქალაქს — ბუენოს-აირესს, კეიპტაუნს, სტამბულს, რიო-დე-ჟანეიროს, სევილიას, რომსა და სანკტ-პეტერბურგს. საბუთების წარდგენის ბოლო დღეა 1996 წლის 10 იანვარი. ფიქრობენ, რომ ეს დრო ეყოფათ ლილს, სან-ხუანსა და სტოკჰოლმს თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად.

როგორც ცნობილია, პირვანდელი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ავღანეთმა უარი განაცხადეს ატლანტის თამაშებში მონაწილეობაზეკ. თუმცა, სოკის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი დარწმუნებულია, რომ კომუნისტური კორეის ხელისუფლება შეცვლის თავის გადაწყვეტილებას. 1988 წელს კორეამ უარი თქვა სეულის თამაშებში გამოსვლაზე, აი ოთხი წლის შემდეგ ბარსელონაში კი ოთხი ოქროს და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კსდრ-მ 1993 წლიდან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მსოფლიოს სპორტულ სამყაროსთან.

ავღანეთმა მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც დადებითი პასუხი გაუგზავნა სოკს ატლანტის ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე, დაგვიანების მიზეზი კი ადგილობრივი კავშირგაბმულობის წინაშე მდგარი პრობლემებით ახსნა. რაც შეეხება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამ ქვეყნის ეოკი სიცოცხლის ნიშანწყალს არ იძლევა.

შვეიცარიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად სიონის კანდიდატურა წამოაყენა. სიონი, ერთხელ უკვე იყო ხელისმაძიებლის როლში (2002 წ.), მაგრამ მან წააგო ბრძოლა ამერიკის სოლტ-ლეიკ-სიტისთან.

ხუთი რგოლის გარშემო

მკითხველი — გაზეთი

გთხოვთ გვიპასუხოთ რა წესით ირჩევენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს და ვინ არის მისი წევრი საქართველოდან?

მ. მანაგაძე
სტუდენტი, თბილისი

პასუხი: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) წევრობის პირობები და პრინციპები განსაზღვრულია ოლიმპიური ქარტიით. სოკი თავის წევრად ირჩევს, ვისაც შესაფერისად მიიჩნევს. სოკის წევრები წარმოადგენენ არა თავის ქვეყანას, არამედ არიან სოკის წარმომადგენლები თავის ქვეყანაში. თითოეული ქვეყნიდან შეიძლება აირჩიონ მხოლოდ ერთი წევრი. გამონაკლისი მხოლოდ იმ ქვეყნებისთვისაა, ვინც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. აგრეთვე ქვეყნებისათვის, რომლებმაც უმასპინძლეს ოლიმპიურ თამაშებს. რუსეთს, მაგალითად, ორი ადგილი ჰქონდა და შეინარჩუნა კიდეც სხრკ დაშლის შემდეგ.

ჯერჯერობით საქართველოს სოკის წარმომადგენელი თავისი ქვეყნისათვის არ ჰყავს.

ყურადღება!

შპს „გუმათე“ ასრულებს საწარმოთა რეგისტრაციას უმოკლეს ვადებში. მისამართი: „ლელოს“ რედაქცია, ტელ.: 99-56-14.

რა ხდება ქვეყანაზე

● **შტატბარტის** ბურგომისტრმა ვოლფგანგ შუსტერმა აკრძალა თავის ქალაქში მოკრივეთა შეხვედრების მოწყობა. ეს მოხდა „შაბიერალეს“ ცნობილ ბარაბნში გამართულ მოკრივეთა ორთაბრძოლის შემდეგ. როგორც ცნობილია, იქ სამედიცინო დღეს სამხრეთაფრიკელმა ფრენკ ბოტამ დამარცხა გერმანელი აქელ [illegible] ამით ადგილობრივი გულშემატკივრების ყოველად გაბოროტებული სწრაფა გამოიწვია. „ჩემ არავითარ შემთხვევაში არ დაკარგავ ჩვენი ქალაქის სპორტული რეპუტაციის შებღალვას, — განაცხადა ბურგომისტრმა, — ამიტომ უახლოეს დროში მოკრივეთა შეხვედრებს არ გავმართავთ. სხვაგვარად ჩვენ აგვკრძალავენ ნებისმიერი სპორტული შეჯიბრების ორგანიზაციას“.

● **1991 წლის** მსოფლიოს ჩემპიონი თარჯრბენში, რუსი მძლეოსანი ლიუდმილა ნაროჟილენკო, აკრძალული პრეპარატების გამოყენებისათვის ოთხი წლით იყო დისკვალიფიცირებული იაფი-ს მიერ. ამ დღეებში საერთაშორისო ფედერაციამ 2 წლით შეუმცირა მას სასჯელის ვადა. ახე რომ, ნაროჟილენკოს საშუალება მიეცა მოემზადოს ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის, სადაც ის დაიკავებ... შვედეთის გუნდის ღირსებას. საქმე ის გახლავთ, რომ რუსი მძლეოსანი გახდა შვედი მენეჯერის იოჰან ენკვისტის მეუღლე და ცხოვრობს ქმართან ერთად შვედეთში.

● **როგორც** ცნობილი გახდა, ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ანატოლი კარპოვი და გატა კამსკი გაითამაშებენ მონრეალში (კანადა). ორგანიზატორებმა დაადგინეს პირველი პარტიის თარიღი — 1996 წლის 16 ივნისი. ახლა ყველაფერი მხარეებზეა დამოკიდებული. მოჭადრაკეებმა პასუხი უნდა აცნობონ ორგანიზატორებს იანვრის ბოლოსთვის. მატჩის საპრიზო ფონდი განისაზღვრა 1 მილიონი დოლარით. ამ თანხიდან 5 პროცენტს წაიღებს ფიდე (მატჩის მოსაწყობი ხარჯები). დანარჩენ ფული განაწილდება მოჭადრაკეთა შორის: 62,5 პროცენტი გამარჯვებულს, 37, 5 პროცენტი — დამარცხებულს.

● **მსოფლიოს** ჩემპიონმა დარეკორდსმენმა ცურვაში, 17 წლის გერმანელმა გოგონამ ფრანსისკა ვან ალმსიკმა გადაწყვიტა დარჩენილი დრო მთლიანად ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისს მოახმაროს. ამ მიზნით სკოლაში ერთწლიანი აკადემიური შვებულება მოითხოვა: ფრანსისკა გაისად საშუალო სკოლას ამთავრებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა ოლიმპიადისთვის სამზადისი. „თამაშების შემდეგ ბოლო კლასის კურსს უფრო მშვიდად და დაკვირვებით გავივლი“ — თქვა მან.

● **მოსკოვში**, „მადამ სოფის“ კლუბში, „როსტსელმაშის“ ფეხბურთელთა გუნდის მთავარ მწვრთნელს სერგეი ანდრეევს გადაეცა წლის ჯენტლმენის სმოკინგი. ეს პრიზი „პატიოსანი თამაშისათვის“ დაწესეს „კომსომოლსკაია პრავდამ“ და „ნოვაია ეჟედნევნაია გაზეტამ“.

● **მსოფლიო** ჩოგბურთის ყოფილ ვარსკვლავს შვედ სტეფან ედბერგს, რომელსაც 19 იანვარს 30 წელი შეუსრულდება, გადაწყვეტილი აქვს უარი თქვას ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე და ადგილი ახალგაზრდებს დაუთმოს. სამაგიეროდ, გაისად იგი არ გამოტოვებს „დიდი სლემის“ არც ერთ ტურნირს. ატლანტაში კი შვეციის ვაჟთა გუნდის შემადგენლობა ასეთი იქნება: თომას ენკვისტი (მსოფლიოს მე-7 ჩოგანი), მაგნუს ლარსონი (17), იონას ბიორკმანი (30) და მათს ვილანდერი (46). სტეფან ედბერგს, მსოფლიო კლასიფიკაციაში დღეისათვის 23-ე ადგილი უკავია.

● **ლონდონში** გაიმართა საინტერესო საჭადრაკო მატჩი მსოფლიოს ჩემპიონ გარი კასპაროვსა და რენტიუმის ტიპის კომპიუტერს შორის, რომელიც აღჭურვილი იყო „ფრიტც 3-ის“ პროგრამით. კასპაროვმა ითამაშა ორი პარტია „დროის სწრაფი კონტროლით“ (25 წუთი). მატჩის ანგარიშია 1,5:0,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

● **ესენში** (გერმანია) ალფრედ კრუპის კლინიკაში მარცხენა ფეხის ოპერაცია გაუკეთეს მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელს შტეფი გრაფს, რომელიც, ამის გამო, ცხადია, მონაწილეობას ვერ მიიღებს „დიდი სლემის“ პირველ ტურნირში — ავსტრალიის ღია ჩემპიონატში (იწყება 15 იანვარს მელბურნში). შეგახსენებთ, რომ 26 წლის გრაფს ეს ტურნირი ოთხჯერ აქვს მოგებული. გრაფს გადაწყვეტილი აქვს მთლიანად გაიაროს ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროგრამა. ორი წლის წინ მან ანალოგიური ოპერაცია გაიკეთა მარჯვენა ფეხზე.

● **მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონი „ფორმულა— 1-ში“, გერმანელი ავტომობილისტი მიჰაელ შუმახერი მონაწილეობას მიიღებს კარტინგების შოუ-შეჯიბრებაში, რომელიც მოეწყობა პარიზში „ბერსის“ სპორტის სასახლეში. ტურნირში გამოვლენ, „ფორმულა — 1“-ის პილოტები და უძლიერესი პროფესიონალი კარტინგისტები.

● **მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონმა რალიში ესპანელმა კარლოს საინსმა განაცხადა, რომ ორი წლის განმავლობაში დაიკავს „ფორდის“ ღირსებას, საინს სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა დადებული „ტოიოტასთან“, მაგრამ ამ გუნდის დისკვალიფიკაციის შემდეგ, საერთოდ უსაქმოდ დარჩა. ვინ იქნება მისი პარტნიორი ჯერ არავინ იცის, თუმცა ასახელებენ ალისტერ მაკრეის კანდიდატურას. არადა, მისმა ღვიძლმა ძმამ კოლინმა, საინს ჩემპიონობა ჩამოართვა.

● **ჰოკეისტთა** ეროვნული ლიგის (ნჰლ) კლუბების მფლობელთა საბჭოს გადაწყვეტილებით ლიგის სრულუფლებიან კომისარს გერი ბეტმენს გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა. ახალი ხელშეკრულების დეტალები ზუსტდება, მაგრამ ბეტმენის განცხადებით, პრობლემები არ წარმოიქმნება. ვარაუდობენ, რომ ახლადარჩეული კომისარი ეფექტურად გაუძღვება ლიგას ახალი საუკუნის მიჯნამდე. შეგახსენებთ, რომ ბეტმენი ნჰლ-ს კომისარი გახდა 1993 წლის 1 თებერვალს, როცა ამ ორგანიზაციის წინაშე უამრავი პრობლემები იდგა.

● **„ტურ დე ფრანსის საზოგადოების“** გამგეობის განცხადებით ველოსიპედისტთა ამ ყველაზე პრესტიჟული რბოლის 84-ე სტარტი 1997 წელს გაიმართება 4 ივნისს რუანში. პირველი ეტაპების მოწყობა ნორმანდიაში მიზნად ისახავს კონკრეტულ ამოცანას: აღნიშნოს ამ რაიონის მკვიდრის, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონის, ჟაკ ანკეტილის პირველი გამარჯვების 40 -წლისთავი.

● **ცნობილი** იტალიელი ექიმი მიქელე ფერარი, რომელიც პატრონობს გამოჩენილ ველოსიპედისტთა ერთ ჯგუფს, ყოველ სეზონს იწყებს წვრთნის პროცესში რაიმე მეთოდოლოგიური სიახლით. აი, წლეულსაც ფერარის „პაციენტები“ უკვე სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში იმყოფებიან და წვრთნას გადიან „შეფის“ მეთოდით. მოვარჯიშეთა შორის არიან: ესპანელი აბრაჰამ ილანო, შვეიცარიელი ტონი რომინგერი, იტალიელები — ჯანლუკა ბორტოლამი, მარიო ჩიპოლინი, ჯორჯო ფურლანი და სხვ.

● **ველოსპორტის** იტალიელმა მენეჯერმა ჯანი საგომ გამოაცხადა, რომ ადგენს ახალ იტალო-კოლუმბიურ გუნდს (ადრე იგი „ზეტ ჯი—მობილს“ ხელმძღვანელობდა) „სელა იტალია - გლასიალს“. მასში იტალიელების გარდა შევა 20-ამდე კოლუმბიელი ველოსიპედისტი, რომელთაგან ყველაზე ცნობილი არიან: ნელსონ როდრიგესი, ისრაელ ოჩოა და ანხელ კამარგო.

● **მსოფლიოს** არაერთგზის ჩემპიონმა 1500 მეტრზე რბენაში ქალთა შორის, ალეირელმა ხასიბა ბულმერკამ განაცხადა, რომ ზამთრის პერიოდში არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში არ გამოვა. მას მთელი ყურადღება ატლანტის ოლიმპიური თამაშებისათვის სამზადისზე გადაქვს. წლის დასაწყისში იგი გაემგზავრება კუბაზე და იქ ანა ფიდელია კირიტთან ერთად ივარჯიშებს.

● **სიმაღლეზე** ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენისთვის, კუბელი ხავიერ სოტომაიორისთვის გასული სპორტული სეზონი არაფრით ყოფილა გამორჩეული: ოქტომბერში მან დაიწყო სპეციალური მზადება ოლიმპიადისთვის, მაგრამ მალე შეწყვიტა აქილევსის მყესში ტკივილების გამო. მაგრამ, როგორც გაირკვა, ქირურგების ჩარევა არ აღმოჩნდა საჭირო. სოტომაიორმა ახლახან განაახლა ვარჯიში ესპანეთში. იგი აცხადებს, რომ აქილევსის მყესი სრულიად აღარ აწუხებს.

ტაილანდში დაიწყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების XVIII სპორტული თამაშები. 9 დღის მანძილზე 10 ქვეყნის 3200 ათლეტი პირველობას ეცილება ერთმანეთს სპორტის 28 სახეობაში. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია, ბუნებრივია, მასპინძლებს ჰყავთ — 754 სპორტსმენი. სულ გათამაშდება მედლების 334 კომპლექტი.

ქრონიკა

მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის მამა პიტერ გრაფი, რომელიც შეგნებულად არ იხდიდა სახელმწიფო გადასახადს თავისი ქალიშვილის შემოსავლიდან, კვლავ ციხეშია. ამ დღეებში მან დეტალური ახსნა-განმარტებითი ბარათი შეადგინა იმ მაქინაციათა შესახებ, რომლითაც დიდხანს ახერხებდა კონონის გვერდის ავლას და დიდძალი თანხების გადამალვას. პიტერ გრაფი უკვე აღარაფერს უმალავს მართლმსაჯულებას და ამით ცდილობს შეიმსუბუქოს სასჯელი. იგი დარწმუნებულია, რომ ახალ წელს შინ შეხვდება.

საგადასახადო სამსახური დაინტერესდა მსოფლიოს №3 ჩოგბურთელის ესპანელი არანტა სანჩესის შემოსავლით და სთხოვა მას წარედგინა ყველა საპროცედურო დოკუმენტი. საქმის გახლავთ, რომ სანჩესმა თავის მუდმივ ადგილსამყოფელად გამოაცხადა მინი-სახელმწიფო ანდორა, სადაც საგადასახადო კანონმდებლობა ესპანეთთან შედარებით უფრო ლმობიერია. მაგრამ ესპანეთის კანონების თანახმად, სანჩესმა ანდორაში სულ ცოტა 183 დღე მაინც უნდა იცხოვროს. ამავე დროს ესპანეთში არ უნდა აწარმოოს მსხვილი ფინანსური ოპერაციები. სხვათა შორის, ანალოგიური პრეტენზიები აქვთ წაყენებული ესპანელ მომღერლებს მონსერატ კაბალიეს და ელფრედო კრაუსს.

რა ხდება ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაისონი გვირგვინს უმიზნებს

(პირველი გვერდიდან)

ტომ მამამისის მწვრთნელის გვარი გახლავთ, რომელთანაც ოჯახს ძალზე ახლო და თბილი ურთიერთობა ჰქონდა. კას დ'ამატოს უდიდესი დამსახურება მიუძღვის პროფესიული კრივის წინაშე. მისი სკოლა გაიარა ბევრმა სახელოვანმა მოკრივემ. სხვათა შორის, მაიკ ტაისონი სწორედ კას დ'ამატომ აღმოაჩინა. იგი იყო მაიკის პირველი მწვრთნელი და დამრიგებელი.

ახლა რამდენიმე სიტყვა ტაისონზეც. როგორც ცნობილია, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩატარებული პირველი ბრძოლა ექსჩემპიონმა 89 წამში მოიგო. ამან პროფესიული კრივის წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სწორედ ამიტომ მეორე მოწინააღმდეგედ დონ კინგმა ტაისონს უფრო ძლიერი და სერიოზული მოკრივე შეურჩია, მაგრამ ისეთი, რომლის დამარცხება ფავორიტს ძალზე არ უნდა გასჭირვებოდა. ბასტერ მათისიც სწორედ ასეთი მეტოქე გამოდგა.

პირველი რაუნდი აღინიშნა ტაისონის მცირე უპირატესობით. მათისმა რამდენიმე ეფექტური დარტყმა განახორციელა, თუმცა ინიციატივას მთლიანად ექსჩემპიონი ფლობდა. მსაჯებს არ გასჭირვებიათ ამ რაუნდის შეფასება. სამივემ უპირატესობა ტაისონს მიანიჭა.

მეორე რაუნდი ტაისონმა ფრთხილად დაიწყო, მაგრამ მათისმა, ყველასათვის მოულოდნელად, აქტიური ბრძოლა წამოიწყო. ორჯერ ტაისონი რინგის კუთხეში აღმოჩნდა მიმწყვდეული. ეს სამწუთიანი მონაკვეთი მსაჯებმა უფრო დაძაბულად მიიჩნიეს. ეს კი არა, ერთმა მათგანმა უპირატესობა მათისს მიანიჭა.

მესამე რაუნდის დასაწყისიც, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავდა მეორეს, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი. მათისის ენერგიულ შეტევებს ტაისონმა მძლავრი კონტრშეტევა დაუპირისპირა. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს ექსჩემპიონმა გამოიყენა გამოუცდელი მეტოქის შეცდომა და ზუსტი გვერდითი დარტყმით ძირს დასცა იგი. ნოკაუტი დაფიქსირდა ბრძოლის დაწყებიდან 8 წუთისა და 32 წამის შემდეგ.

მაშ ასე, მსოფლიოს ექსჩემპიონმა წარმატებით დაძლია მეორე ბარიერიც. ოთხნახევარი წლის განმავლობაში მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა სულ ორი ბრძოლა ჩაატარა პროფესიულ რინგზე. ერთი, პიტერ მაკნილთან მოიგო 89 წამში. მეორე — ბასტერ მათისთან 8 წუთსა და 32 წამში. როგორც ხედავთ, ამ ორ გამარჯვებას ექსჩემპიონმა სულ 10 წუთი და 1 წამი მოანდომა. შედეგი, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია. მათისმა ამ ბრძოლაში 600 ათასი დოლარი მიიღო, ტაისონმა — 10 მილიონი. რა მოხდება მერე?

როგორც გამოცხადდა, ტაისონის შემდეგი მეტოქე იქნება ფრენკ ბრუნო. სხვათა შორის, ბრუნო, ისევე როგორც კიდევ ორი სხვა მსოფლიო ჩემპიონი (მძიმე წონაში, ოღონდ სხვადასხვა ვერსიით) — ბრიუს სელდონი და ფრენს ბოტა თვალყურს ადევნებდნენ ამ ბრძოლას ფილადელფიის „სპეკტრუმში“. შეხვედრის დამთავრების შემდეგ არც ერთ ჩემპიონს არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, თუმცა შეკითხვები ჟურნალისტთა მხრიდან, ბუნებრივია, საკმარისზე მეტი იყო. 1996 წლის 16 მარტს გაიმართება ტაისონისა და ბრუნოს შეხვედრა. ეს იქნება უკვე სატიტულო მატჩი.



სურათზე: მაიკ ტაისონი (მარჯვნივ) ამზადებს გადამწყვეტ დარტყმას ბასტერ მათისთან ორთაბრძოლაში.

XXX

ამ დროს 46 წლის ჯორჯ ფორმენმა განაცხადა, რომ თავის ბოლო ბრძოლას გამართავს მაიკლ მურერთან 1996 წლის 29 თებერვალს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“.

ფიშერი-ილუმჟინოვი, ახალი ტანდემი

ამ დღეებში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი შეხვდა მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონს ბობი ფიშერს ბუდაპეშტში, სადაც ეს უკანასკნელი კარგა ხანია ცხოვრობს. როგორც ცნობილია, საკმაო დრო გავიდა, რაც ფიშერმა გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა ყოფილი საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ორგანიზაციასთან იმის გამო, რომ მისი ნებართვის გარეშე დაიბეჭდა დასავლეთში საკმაოდ პოპულარული წიგნი „ჩემი 60 სამახსოვრო პარტია“ და ამაში ავტორს კაპიკი არ მიუღია.

ილუმჟინოვმა ბოდიში მოუხადა ფიშერს ამ პირატული აქციისათვის და იქვე შესთავაზა კომპენსაციის სახით 100 ათასი დოლარი. შემდეგ ფიდეს პრეზიდენტმა მოიპატიჟა მსოფლიოს ექსჩემპიონი ყალმუხეთში, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. ეს კი არა, ფიშერმა ილუმჟინოვის სამშობლოში სახლის შენებლობა მოისურვა.

ფიდეს პრეზიდენტის განცხადებით, ბობი მხიარული, ცხოვრებით კმაყოფილი კაცია. საუბრობს გულწრფელად, გულღიად, ქვეს აზრების გარეშე. იგი ბევრს კითხულობს, იცის ყველაფერი რუსეთის ეკონომიკურ პრობლემებზე.

„ღმერთს უნდოდა, რომ მე კიდევ მეთამაშა ჭადრაკი“

ეს სიტყვები 64 წლის ვიქტორ კორჩნოის ეკუთვნის, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი ნაღდი პრეტენდენტი იყო.

აი, რამდენიმე ნაწყვეტი ვიქტორ კორჩნოის ერთი ინტერვიუდან.

● **რატომ ვერ გახდით მსოფლიო ჩემპიონი 1978 წელს? თქვენ რომ ბაგიოში მატჩის ფინიშზე კარპოვი ზედიზედ სამჯერ დაამარცხეთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საგრძნობი უპირატესობა გქონდათ?**

— დიახ, მქონდა შესაძლებლობა, მაგრამ აქ უნდა გავიხსენო ერთი საუბარი მიხეილ ტალთან... ბაგიოში ბრძოლის დამთავრების შემდეგ პეტრამ (კორჩნოის მეუღლემ და მისი დელეგაციის ხელმძღვანელმა ბაგიოში) ხელები ცისკენ აღაპყრო და დემონსტრატიულად დასვა კითხვა: რატომ არ მომცა ღმერთმა გამარჯვება 1978 წელს? პასუხი მხოლოდ 1990 წელს შევიტყვე. ტალი, რომელიც უკვე გვარიანად ავად იყო, ლამობდა კარგი ურთიერთობა აღედგინა ჩემთან. იუგოსლავიაში ოლიმპიადაზე იგი რესტორანში შემოვიდა, სადაც ჩემი გულშემატკივრების ჯგუფთან ერთად ვიმყოფებოდი, ვუსაყვედურე, რომ საბჭოელები კარპოვთან მერანოში ჩემი მატჩის დროს ცუდად იქცევოდნენ. ტალი ჯერ სუსტად მეწინააღმდეგებოდა. მერე კი ასეთი რამ თქვა: „ბაგიოში ჩვენ თქვენი ხვედრი გვაღელვებდა — მატჩი რომ მოგეგოთ, ფიზიკურად მოგსპობდნენ. საამისოდ უკვე ყველაფერი მზად იყო.

● **როგორ გავიგოთ ყოველივე ეს?**

— ძალიან უბრალოდ და მარტივად: ამ ორიოდე წლის წინ ხომ განაცხადა ჟურნალ „ოგონიოკში“ უშიშროების პოლკოვნიკმა ლიტვინოვმა, რომ კამპომანესი 1987 წლიდან მოყოლებული ამ ორგანიზაციის ოპერაციებში მონაწილეობდა. ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ორგანოების თანამშრომლები მოელაპარაკნენ ფილიპინელს, ყველაფერი საგულდაგულოდ მოფიქრებული იყო...

ვიქტორ კორჩნოი

ახლა უკვე გასაგებია, რატომ ვერ მოვუგე კარპოვს 1978 წელს. ეტყობა, ღმერთს სურდა, რომ მე კიდევ მეთამაშა ჭადრაკი.

ანატოლი კარპოვი ძალზე ირონიულად გამოეხმაურა ამ განცხადებას:

— ვიქტორ კორჩნოი თავის რეპერტუარშია. ჩემთან სამი მატჩი წააგო, ამაში კი ვისაც გნებავთ ამტყუნებს, საკუთარი თავის გარდა. განა შეიძლებოდა ტალის სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით გაგება იმის თაობაზე, რომ ბაგიოში გამარჯვების შემთხვევაში (თუმცა საამისოდ, პირდაპირ ვთქვათ, მცირე შესაძლებლობა ჰქონდა) მას „ფიზიკურად მოსპობდნენ“?

ПРОФЕСИОНАЛ КРИВИС АМБЕБИ — ПРОФЕСИОНАЛ КРИВИС АМБЕБИ

ხელმოცარული შულცი და იმედიანი ბოტა

65 წლის წინ, 1930 წელს მძიმე წონის მოკრივემ მაქს შმელინგმა დაამარცხა ამერიკელი ჯეკ შარკი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

მას შემდეგ გერმანიას ამ წონაში არ ჰყოლია პროფესიონალი მსოფლიო ჩემპიონი. წლეულს აპრილში შმელინგის წარმატების გამეორება შეეძლო 27 წლის აქსელ შულცს, რომელიც შეხვდა „მოხუც“ ჯორჯ ფორმენს და ახლოს იყო კიდეც მიზანთან. მაგრამ იმ ბრძოლაში მსაჯებმა გაუგებარი სოლიდარობა გამოიჩინეს ფორმენის მიმართ და უსამართლოდ დასაჯეს ახალგაზრდა პრეტენდენტი. მერე შულცმა რამდენიმეჯერ მოითხოვა ფორმენთან ხელახალი შეხვედრა, მაგრამ რევანში არ შედგა: „მოხუცი“ წინააღმდეგი იყო ამ ბრძოლისა.

მეორე შანსი აქსელ შულცს ამ დღეებში ჰქონდა, როცა ფორმენის დისკვალიფიკაციის შემდეგ, გვირგვინი იბფ-ში ვაკანტური აღმოჩნდა. მისი მეტოქე ამჯერად იყო სამხრეთაფრიკელი ფრენს ბოტა. ბრძოლა შედგა შტუტგარტის „შლაიერჰალეში“, 13 ათასი ფანატიკოსი გერმანელის თანდასწრებით, რომლებიც 12 რაუნდის მანძილზე გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს გდრ-ს საიდუმლო სამსახურის — „შტაზის“ ყოფილ თანამშრომელს. შეხვედრის შემდეგ მსაჯების აზრი გაიყო: ორმა გამარჯვება მიანიჭა ბოტას (116:112, 115:113), ერთმა — შულცს (115:113).

ამას მოჰყვა გულშემატკივართა საშინელი რეაქცია. მსაჯები, მოკრივეები და მათი სეკუნდანტები რაღაც სასწაულით გადაურჩნენ გამძვინვარებული ფანატიკოსების რისხვას.

ბოტამ ეს დღე თავის პროფესიულ კარიერაში 36-ე გამარჯვებით აღნიშნა (არ წაუგია არც ერთი შეხვედრა), რაც იმას ნიშნავს, რომ მას მაიკ ტაისონთან ბრძოლის დიდი შანსი გაუჩნდა.

შტუტგარტის „შლაიერჰალეში“ გაიმართა ორი სატიტულო ბრძოლა, რომელთაგან ერთის შედეგი, ცოტა არ იყოს, კომიკურ ხასიათს ატარებდა. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა იბფ-ს ვერსიით (57,2 კგ) ტომ ჯონსონმა, რომელიც პუერტორიკელ ხოსე ბადილიოსთან ორთაბრძოლაში სამჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაინც შეინარჩუნა ოქროს ქამარი და დაამტკიცა, რომ შეუპოვრობაში მას მართლაც არ ჰყოლია ტოლი. გაცილებით უფრო შეუპოვარი იყო ბრძოლა ვბა-ს ვერსიით 76,2 კგ წონაში. ვერც ფრენკ ლილსმა (აშშ) და ვერც მაურისიო ამარალმა (ბრაზილია) რამდენადმე მნიშვნელოვან უპირატესობას ვერ მიაღწიეს ურთიერთშეხვედრაში. მსაჯებმა გამარჯვება ქულებით ამერიკელ მოკრივეს მიანიჭეს, რომელმაც შეინარჩუნა კიდეც ტიტული.

როგორც ფიქრობენ, 1996 წლის 29 თებერვლისთვის „მედისონ სკვერ გარდენში“ დანიშნული ორთაბრძოლა ჯორჯ ფორმენსა და მაიკლ მურერს შორის არ გაიმართება. ფორმენმა თავდაპირველად ამ შეხვედრაში მონაწილეობისთვის, პონორარის სახით, 9,6 მილიონი დოლარი მოითხოვა. მაგრამ როგორც კი მიიღო თანხმობა ორგანიზატორებისაგან, ახალი პრეტენზიები წამოაყენა, ბოლოს კი უარი განაცხადა გამოსვლაზე. თუმცა ამ გადაწყვეტილების შეცვლის უფლებაც დიტოვა. როგორც ჩანს, ფორმენი გაურბის შეხვედრას მურერთან და ცდილობს უფრო რეალური გახადოს მისი ორთაბრძოლა ტაისონთან.

ვბს-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი 57,2 კგ-ში გახდა 28 წლის ფილიპინელი მაურისიო ესპინოსა. მან ქულებით, საკმაოდ მძიმე და შეუპოვარ ბრძოლაში, დაამარცხა მექსიკელი მანუელ მედინი. შეხვედრა გაიმართა ტოკიოში.

იბფ-ს ვერსიით 63,5 კგ-ში მსოფლიოს ჩემპიონის, 25 წლის კონსტანტინე ცზიუს (იგი რუსეთიდანაა, მაგრამ ცხოვრობს ავსტრალიაში) შეხვედრა კოლუმბიელ ჰუგო პინედოსთან, ალბათ, მაინც გაიმართება. წინააღმდეგობა წარმოიშვა ორთაბრძოლის ადგილის განსაზღვრისას. იბფ-ს ამ შეხვედრის გამართვა კოლუმბიაში უნდოდა, ცზიუმ კი უსაფრთხოების მიზეზით, უარყო კანდიდატურა. მაშინ, იბფ დაემუქრა ჩემპიონს ტიტულის ჩამორთმევით, მაგრამ ცზიუს მენეჯერი ელად უორტონი საკმაოდ კერკეტა კაკალი აღმოჩნდა. იბფ-ს სახელზე მან სასამართლოს საჩივარი გაამზადა და... ინციდენტიც ამით ამოიწურა. როგორც ამბობენ, ეს შეხვედრა გაიმართება 20 იანვარს ავსტრალიის ერთ-ერთ ქალაქში. მეტოქეთა საკვიზიტო ბარათები ასეთია: ცზიუმ პროფესიულ რინგზე ჩაატარა 15 შეხვედრა და ყველა მოიგო, პინედომ 27 ორთაბრძოლაში გამარჯვებას მიაღწია და ერთხელ დამარცხდა.

პიტერ მაკნილი პროფესიული კრივის ისტორიაში შევიდა იმით, რომ გახდა ციხიდან გამოსული მსოფლიოს ექსჩემპიონის მაიკ ტაისონის პირველი მეტოქე. არანაკლებ ყურადსაღებია ისიც, რომ ეს მატჩი მაკნილმა ნააგო 89 წამში. ამ დღეებში მას ჰქონდა მორიგი ბრძოლა პროფესიულ რინგზე: მეტოქე იყო 43 წლის სპორტული ქირურგი-ორთოპედი ჰაროლდ რეიტმანი. მაკნილმა გამარჯვება მოიპოვა პირველსავე რაუნდში. ორთოპედი ნოკაუტირებული აღმოჩნდა 2 წუთსა და 32 წამში. ამ მატჩს, რომელიც გაიმართა მაიამიში, ესწრებოდა 1400 მაყურებელი.

ჩხუბითა და აყალ-მაყალით ცნობილი ამერიკელი მძიმე წონის მოკრივე მიჩ გრინი დაპატიმრებულია თავისი მენეჯერის ოფისში ატეხილი აურზაურის გამო. ჩვეულებრივი საუბრის დროს რაღაცით უკმაყოფილო გრინმა ხელი დაავლო სკამს და დალეწა ყველაფერი, რაც გზად შეხვდა. საბედნიეროდ, იქ მყოფთაგან არავინ დაზარალდა.

ამერიკული კანონმდებლობით გრინის საქციელი ფასდება როგორც სახიფათო ხულიგნობა და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7 წლამდე. მაგრამ სასამართლო, როგორც ჩანს, მკაცრად არ დასჯის მას და შემოიფარგლება მიყენებული ზარალის ანაზღაურებით, რომელიც ექსპერტთა აზრით დაახლოებით 9 ათას დოლარს უდრის. გარდა ამისა, გაუქმდება დეკემბრის მინურულისთვის დანიშნული მისი ბრძოლა „მედისონ-სკვერ გარდენში“ შენონ ბრიგსთან.

ვერ იქნა და ვერ ისწავლა ჭკუა 38 წლის გრინმა. ადრე იგი ერთ-ერთ განგსტერულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა და ხან ბანდიტიზმისთვის იჯდა, ხან კი ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის. 1986 წელს გრინი ქულებით დამარცხდა (10-რაუნდიან ბრძოლაში) მაიკ ტაისონთან, ორი წლის შემდეგ კი წაეჩხუბა ტაისონს ნიუ-იორკის ერთ-ერთ ღამის ბარში და ხელი მოტეხა.

ГАМОХМАУРЕБА ФЕРИЛЗЕ: „СЕРГО ЗАКАРИАДЗЕ — ФЕХБУРТЕЛИ“

თამაშობდა და, სერიოზულადაც!

„ეს მოხდა დაახლოებით 30-იანი წლების მიწურულს — იხსენებდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი შოთა შავგულიძე, — ზუგდიდში, სადაც მაშინ ვცხოვრობდი ჭინჭის ბურთზე აღზრდილ „ფეხბურთელებს“ ბედნიერება გვეწია — როგორღაც ტყავის ბურთი და ფორმები შევიძინეთ... ამ დიდი ამბის აღსანიშნავად საქალაქთაშორისო მატჩი გავმართეთ ზესტაფონის „რჩეულებთან“, ასე უწოდებდნენ მაშინ ნაკრებს.

ზესტაფონელთა რიგებში იყო სერგო ზაქარიაძე, ქართული თეატრის მომავალი მშვენება. ამ ახოვანმა ვაჟკაცმა, პლასტიკურობითა და ლამაზი მოძრაობებით ყველას დაამახსოვრა თავი. თვალის დახამხამებაში, ისე მოხდენილად დაუძვრებოდა ბურთიანად ორსამ მეტოქეს, თქვენი მოწონებული... იგი თბილისის „დინამოს“ საკლუბო გუნდშიც ჩარიცხეს, მაგრამ ეტყობა „სცენის მტვერმა“ გადასძლია.

თუმცა, ვისაც მისი სპორტული მონაცემები ახსოვს, დღესაც სინანულით ამბობს, სერგო ფეხბურთში ნაკლებწონიან სიტყვას როდი იტყოდაო. სხვათა შორის, მისი საფეხბურთო ტალანტის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი მეც გახლდით. ბურთმა ძალიან დაგვაახლოვა და ერთმანეთის გამოსვლებს — ჩემსას მინდორზე, სერგოსას სცენაზე — ყოველთვის ვესწრებოდით. მახსოვს, ომამდე თეატრის ფოიეში შემხვდა — მთავრობის ჯილდო, ორდენის მიღება მომილოცა. მე ვუთხარი:

— აი, ხომ ხედავ ორდენოსანი გავხდი, ფეხბურთისათვის თავი რომ არ დაგენებებინა, შენც მიაღწევდი რაღაცას...

რა ვიცოდი მომავალ სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლაურეატსა და საერთაშორისო კინოფესტივალების გამარჯვებულს თუ ვსაყვედურობდი ფეხბურთის „ღალატს“.

კიდევ ერთი გახსენება. საქართველოს სახალხო არტისტი კარლო საკანდელიძე:

— დაბეჯითებით ვიცი, რომ სერგო ზაქარიაძე თბილისის „დინამოში“ თამაშობდა ჰავბეკად და საერთოდ სერიოზულად იყო გატაცებული ამ თამაშით. ფეხბურთი თუ თეატრი, აი ასეთი არჩევანის წინაშეც კი აღმოჩენილა...

რა ხდება ქვეყანაზე

თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი იუგოსლავიის ცნობილ კურორტ პლანიცაში გაიმართა. გამარჯვება მოიპოვა ფინელმა მიკა ლაიტინენმა. მისი პირველი ნახტომი 131 მეტრზე იყო, მეორე 132,5 მეტრზე. ფინელმა მოთხილამურემ ყველას აჯობა მეხუთე ეტაპზეც. ხუთი ეტაპის შემდეგ იგი 396-ქულით დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიოს თასის გათამაშებას. მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი იანე ახონენი, რომელიც ლიდერს 86 ქულით ჩამორჩება. გუნდურ ჩათვლაშიც, ბუნებრივია, წინ არიან ფინელი მოთხილამურეები.

კენიაში გაიმართა მე-12 საერთაშორისო მძლეოსნური კროსი, რომელიც მოიგო ადგილობრივმა სპორტსმენმა დანიელ კომენმა. გამარჯვებულმა 9,950 კმ 27.46,14-ში დაფარა.

კალათბურთელ ვაჟთა ევროპის თასის მეოთხე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ „ა“ ჯგუფის ლიდერები „ჟალგირისი“ (ლიტვა) და „ლიმოჟი“ (საფრანგეთი). დაძაბული ორთაბრძოლა კაუნასში ლიტველებმა მოიგეს — 76:74 (34:45). „ჟალგირისს“ ოთხი თამაშის შემდეგ 8 ქულა აქვს, „ლიმოჟს“ — 6. „ბ“ ჯგუფში ცენტრალური ორთაბრძოლა იყო მოსკოვის „დინამოსა“ და საბერძნეთის პაოკის შეხვედრა. დინამოელებმა გაიმარჯვეს — 65:62 (32:38). მოსკოვისა და საბერძნეთის კალათბურთელები 7-7 ქულით ლიდერობენ გათამაშებას.

წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ივან ლენდლი სრულიად ინგლისის ჩოგბურთის კლუბის საპატიო წევრად მიიღეს. ლენდლი სამჯერ იყო საფრანგეთისა და აშშ-ს ჩემპიონი, ორჯერ — ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული. აი, უიმბლდონის ჩემპიონი კი ვერც ერთხელ ვერ გახდა.

ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, გამოჩენილი ბელარუსი ძალოსანი ალექსანდრე კურლოვიჩი (მძიმე წონა), რომელიც დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიცირებული იყო, კვლავ დაუბრუნდა ფიცარნაგს. მინსკში გამართულ შეჯიბრებაზე ამნისტირებულმა ძალოსანმა ორჭიდში ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 442,5 კგ. ასეთი შედეგით ანდრეი ჩემერკინმა, ამას წინათ, მსოფლიო ჩემპიონის ოქროს medალი მოიგო.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მსხვილ შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით გამოაქვეყნა უძლიერესი ნაკრები გუნდების ათეულები. ქალებში პირველი სამი ადგილი გაინაწილეს კუბამ — 365 ქულა, ბრაზილიამ — 353 და ჩინეთმა — 225. ვაჟებში უძლიერესთა სამეული გამოიყურება ასე: იტალია — 386, ჰოლანდია — 283 და ბრაზილია — 263.

ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა სამთო-სათხილამურო სპორტში იტალიელმა ალბერტო ტომბამ თავისი 29 წლისთავი აღნიშნა მადონა-დი-კამპილიოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით. მან დიდი უპირატესობით მოიგო სლალომისტთა შეჯიბრება.

საუკეთესონი

მონტე-კარლოში, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ დაასახელა მსოფლიოს წლის საუკეთესო ათლეტები. ვაჟთა შორის 1995 წლის საუკეთესო მძლეოსნად აღიარებულია ინგლისელი ჯონათან ედვარდსი — მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი სამხტომში. ქალებში ანალოგიური პატივი ხვდა წილად ამერიკელ სპრინტერს გვენ ტორენსს — მსოფლიოს ჩემპიონს 100 მეტრზე რბენაში.

უძლიერეს სპორტსმენთა ხუთეულები გამოიყურება ასე: ვაჟები. 1. ჯონათან ედვარდსი (ინგლისი) — (1501 ქულა). 2. ჰაილე გებრესილასიე (ეთიოპია) — 1482,3. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 1251, 4. ნურედინ მორსელი (ალჟირი) — 1082. 5. მოზეს კეპტანუი (კენია) — 921. ქალები. 1. გვენ ტორენსი (აშშ) — 1301, 2. სონია ოსალივანი (ირლანდია) — 823, 3. კიმ ბატენი (აშშ) — 691, 4. მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 690, 5. ფერნანდა რიბეირუ (პორტუგალია) — 630.

დიდი ჩოგბურთის სამყაროში

«ბიორნ ბორგის ისტორია»

ასე ეწოდება მეტად საინტერესო ავტობიოგრაფიულ წიგნს, რომელიც გამოჩენილი შვედი ფეხბურთელის ცხოვრებასა და სპორტულ კარიერას აღწერს. ბიორნ ბორგი კარგა ხანია ჩამოცილდა აქტიურ სპორტს, მაგრამ დღესაც დიდ პოპულარობას ინარჩუნებს.

სპორტში, მოგეხსენებათ, დიდი მნიშვნელობა აქვს ნიმუშის შექმნას, თუ გნებავთ, თავისებურ კერპს, რომელიც შემდეგ მიბაძვის საგნად უნდა იქცეს. რას წარმოადგენდა ბიორნ ბორგის დაწინაურებამდე შვედური ჩოგბურთი, რომელი ადგილი ეკავა სპორტულ სამყაროში? უმნიშვნელო! ახლა? იგი მეტისმეტად პოპულარულია ქვეყანაში, არსებობს ათასგვარი კლუბები, მეცადინეობს უამრავი ბავშვი, იმართება შეჯიბრებები და ა.შ. რომ ბორგი არა, ალბათ არც გამოჩნდებოდნენ მათს ვილანდერი, სტეფან ედბერგი, ანდერს იარიდი და მომდევნო თაობის სხვა ცნობილი ოსტატები, შვედური ჩოგბურთი ვერ მოიპოვებდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესის სახელს.

ბორგამდე კი ყველა შვედი ბავშვი ჰოკეით იყო გატაცებული. პატარ ქალაქ სედერტელიეში, სადაც ბიორნი დაიბადა 1957 წლის 6 ივლისს, ყველამ ზეპირად იცოდა გამოჩენილი შვედი ჰოკეისტების სახელები, ასეთივე იყო პატარა ბიორნ ბორგიც 10 წლამდე, შემდეგ მან პატარა საჩუქარი მიიღო — ჩოგანი, რომელიც მამამისს, შვეიცარიაში კარგად ცნობილ მაგიდის ჩოგბურთელს, ერთ-ერთ შეჯიბრებაში საჩუქრად გადასცეს. მაგიდის ჩოგბურთელს დიდი ჩოგანი მაინცდამაინც არ ესაჭიროებოდა და შვილს დაუთმო. ბიორნმა ეს ჩოგანი თავიდანვე შეიყვარა და დილიდან საღამომდე არ იცილებდა. ბოლოს მშობლებს კატეგორიულად მოსთხოვა კორტზე წაეყვანათ. სამწუხაროდ, ჩოგბურთის სკოლაში არ მიიღეს — იქ ყველა ადგილი უკვე შევსებული აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, ბიორნი უპარტნიოროდ დარჩა. მაგრამ იგი არ დაბნეულა, მალე მისი პარტნიორი გახდა... გარაჟის კედელი, იქვე ეზოში. დილიდან საღამომდე ბურთს ამ კედელს ურტყამდა და ყველაფერი დაივიწყა, მშობლებსაც, როგორც კი მოსაღამოვდებოდა, ძალით შეჰყავდათ ბავშვი სახლში. ბორგისთვის არავის უსწავლია, როგორ უნდა სჭეროდა ჩოგანი. ასე, მაგალითად, მარცხნიდან იგი ორივე ხელით ურტყამდა, ასე დაეჩვია, და შემდეგ ეს დარტყმა უკვე ცნობილ მეტოქეებსაც კი საგონებელში აგდებდა.

მოგვიანებით ბორგი მაინც მიიღეს ჩოგბურთის კლუბში. ახლა იგი უკვე ნამდვილ კორტზე გამოდიოდა. ნამდვილი მწვრთნელები ამეცადინებდნენ. ნიჭიერ ბავშვს ყურადღება მიაქცია ცნობილმა მწვრთნელმა პერსი როსბერგმა, რომელიც მთელ შვეიცარიაში ეძებდა ტალანტებს და ახლა ამ პატარა ქალაქ სედერტელიეს მიაკითხა. როსბერგმა ბორგს ასეთი რეკომენდაცია მისცა:

— შენ ან ჩოგბურთი უნდა აირჩიო, ან ჰოკეი. ორივეს შეთავსება არ შეიძლება.

და ბორგმაც ჩოგბურთი აირჩია. 14 წლისამ უკვე პირველ წარმატებებს მიაღწია — ჭაბუკთა შორის რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, მათ რიცხვში საზღვარგარეთაც. მართალია, მას სკოლის მიტოვებაც კი მოუხდა, რამდენიმე წლის მანძილზე ყოველ დღე ჩადიოდა სედერტელიედან სტოკჰოლმში და უკან ბრუნდებოდა. ამას კი დღეში სამი საათი სჭირდებოდა.

— ასე იქცა ჩოგბურთი ჩემ ცხოვრებად. — ვკითხულობთ „ბიორნ ბორგის ისტორიაში“ — ბედნიერი ვარ? დიახ, ბედნიერი. ჩემი ჰობის წყალობით ცხოვრებისათვის საჭირო სახსრებს ვშოულობ. მაგრამ ხანდახან მჭონდა ისეთი პერიოდიც, როცა ვარჯიშისათვის თავის დანებება, ჩოგანის შორს მოსროლა მინდოდა...

1972 წელს 16 წლის ბორგმა გაიმარჯვა შვეციის ჩემპიონატში ვაჟთა შორის, და ამ ქვეყნის №1 ჩოგბურთელი გახდა. ეს წოდება მან დიდხანს, ძალიან დიდხანს შეინარჩუნა.

და ეი კიდევ ერთი აღიარება იმავე ავტობიოგრაფიული წიგნიდან:

— მე არ შემეძლო თავის შეკავება (იგულისხმება ჭაბუკობის პერიოდი),

ჩოგანს შორს ვტყორცნიდი ხოლმე, მეტოქეს ვატყუებდი, როცა ბურთის დაცემის ადგილი ხდებოდა გამოსარკვევი, მსაჯებს ვეკამათებოდი, ბურთს ტრიბუნებზე ვისროდი, ე.ი. ვაკეთებდი ყველაფერს, რასაც უღირსი სპორტსმენები აკეთებენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჩემს მშობლებს შერცხვათ ასეთი საქციელისა და შვილის მატჩებზე შეწყვიტეს სიარული. ერთხელ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, შვეციის ჩოგბურთის ფედერაციამ სასჯელი გამომიტანა — ნახევარი წლით შეჯიბრებებში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. მე პატარა ქალაქში ვცხოვრობდი და ცნობა ჩემი დისკვალიფიკაციის შესახებ ძალზე სწრაფად გავრცელდა. ყველა იმას ლაპარაკობდა, რომ მე ცუდი სპორტსმენი ვარ, შვედურ ჩოგბურთს



ბიორნ ბორგი

თავლაფს ვასხამ. ეს იყო მაატერი და ქალზე სამაგალითო ვაკეთილი. — ეს შემთხვევა შემდგომში ბორგს ყოველთვის კარგად ახსოვდა და ცდილობდა კორტზე ღირსეულად მოქცეულიყო...

17 წლის ბორგმა იტალიის ღია ჩემპიონატი მოიგო, ამასთან, სულ 98 წუთი დასჭირდა. ამ ქვეყნის წინა პირველობაზე გამარჯვებული, იმ პერიოდის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ილიე ნასტასე (რუმინეთი) რომ წამოეჩოქებინა. ორი კვირის შემდეგ შვედმა უკვე საფრანგეთის ღია ჩემპიონატი „როლან გაროსი“ მოიგო. ფინალში უმძაფრეს ბრძოლაში სძლია მანუელ ორანტესს (ესპანეთი), ამასთან, წააგო პირველი ორი სეტი, მაგრამ შემდეგ საოცარი სიმსუბუქით გაიმარჯვა ზედიზედ სამში — 6:0, 6:1, 6:1.

ასე დაიწყო...

ბორგი ხუთჯერ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი, ექვსჯერ მოიგო „როლან გაროსი“, უამრავი სხვა შეჯიბრებაც, მაგრამ „დიდ სლემს“ მაინც ვერ დაეუფლა. რატომ? მისთვის დაუძლეველი ზღუდე იყო აშშ-ს ღია პირველობა, სადაც რამდენიმეჯერ ფინალშიც კი გავიდა, მაგრამ პირველ ჯილდოს ვერა და ვერ დაეუფლა.

სპეციალისტები ხაზს უსვამდნენ შვედის განსაკუთრებულ სისწრაფეს. მას თითქმის არ ჰქონია ე.წ. უბრალო შეცდომები, უკიდურესი სიზუსტით გამოირჩეოდა, ამზადებდა გააზრებულ კომბინაციებს. წავიდა ის დრო, როცა იგი თავშეუკავებლად იქცეოდა. თავისი სიმშვიდით იგი ახლა მეტოქეებსაც აოცებდა და მსაჯებსაც.

— ჩემი ძალა თავშეკავების უნარშია — ამბობდა ბორგი.

ბორგის მწვრთნელმა ლენარტ ბერგელინმა თქვა:

— მისი კონცენტრაცია და ტემპერამენტი — აი ორი რამ, რასაც პირველ რიგში უნდა მივაქციოთ ყურადღება. მას კორტზე ვითარების შეცვლის, აღქმისა და გადატანის იშვიათი უნარი აქვს, გასაოცარი სიმტკიცე და შეუპოვრობა.

გავიდა დრო, მოვიდა ახალი თაობა. ბიორნ ბორგმა, რომელმაც ამასობაში პრიზების სახით და სხვადასხვა საქონლის რეკლამით მილიონები მიიღო, გადაწყვიტა ჩამოშორებოდა აქტიურ ჩოგბურთს. 1989 წლის გაზაფხულზე მან და ჯონ მაკინროუმ საჩვენებელი ტურნე გამართეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რის შემდეგ ბორგმა განაცხადა, რომ მეტს აღარ ითამაშებდა.

ხანდახან ბორგი მაინც გამოჩნდება ხოლმე სხვადასხვა შეჯიბრებაში, მაგრამ ეს უკვე სერიოზული ჩოგბურთი აღარ გახლავთ.

გივი თოდრელი

1 საათსა და 43 წუთში — 1 მილიონ 625 ათასი დოლარი

„დიდი სლემის თასის“ გათამაშებით, ფაქტობრივად, დამთავრდა 1995 წლის საერთაშორისო ჩოგბურთის სეზონი.

ყველასათვის მოულოდნელად, პრესტიჟული ჯილდო წილად ხვდა ხორვატ გორან ივანიშევიჩს, რომელსაც წლეულს არაფრით გამოუჩენია თავი. მეოთხედფინალში ტრავმის გამო მას არ გამოუცხადდა პიტ სამპრასი. ნახევარფინალში ივანიშევიჩმა აჯობა რუს ევგენი კაფელნიკოვს (7:6, 4:6, 6:3, 6:4), ფინალში კი, სულ რაღაც 1 საათსა და 43 წუთში მოუგო ტოდ მარტინს (აშშ) — 7:6, 6:3, 6:4. ამ გამარჯვებისთვის ივანიშევიჩს გადაეცა ტურნირის მთავარი პრიზი — 1 მილიონ 625 ათასი დოლარი (წლეულს მისმა საპრიზო თანხამ 3,7 მილიონ დოლარს მიაღწია). საინტერესოა ერთი დეტალი: ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატებში ხორვატი ჩოგბურთელი პირველსავე წრეში ეთიშებოდა ბრძოლას და მხოლოდ უიმბლდონის ნახევარფინალში თამაშმა მისცა მას უფლება გამოსულიყო „დიდი სლემის თასზე“.

მაშ ასე, საერთაშორისო ჩოგბურთის ამ ერთ-ერთ ავტორიტეტულ და, ფინანსური თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერ ტურნირს (საპრიზო ფონდია 6 მილიონი დოლარი) უკვე 6 წლის ისტორია აქვს (შეგახსენებთ, რომ იგი ტარდება სეზონის მიწურულს, უსათუოდ დარბაზში. ექვსივე ტურნირს მასპინძლობდა მიუნხენი). სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ ყველა გათამაშების ლაურეატებს.

1990 წ. — პიტ სამპრასი (აშშ)
1991 წ. — დევიდ უიტონი (აშშ)
1992 წ. — მიჰაელ შტიხი (გერმანია)
1993 წ. — პეტერ კორდა (ჩეხია)
1994 წ. — მაგნუს ლარსონი (შვეცია)
1995 წ. — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია).

ნაწყენი გამარჯვებულები

დევისის თასისათვის ფინალურ მატჩში აშშ-ის ჩოგბურთელთა ნაკრები ამას წინათ მოსკოვში შეერკინა რუსეთის ნაკრებს და გაიმარჯვა 3:2. ამერიკელთა გაკვირვება თურმე ამ დაძაბული შეჯიბრების წინვე დაწყებულა. ცამეტი ათასი მაყურებელი, რომლებმაც პირთამდე გაავსეს სტადიონი, სულაც არ გვანებია მშრომელებს. ერთი ამერიკელი ჟურნალისტის შენიშვნით, ისინი უფრო ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მოკრივეთა ორთაბრძოლაზე მოსულ ხალხს მოგაგონებდნენ. ამერიკელები ამაოდ ეძებდნენ მაყურებელთა შორის საბჭოთა ადამიანების — მოღუშული კაცებისა და უგემოვნოდ ჩაცმული დეიდების ესოდენ ნაცნობ სახეებს... ავტომობილების სადგომები გაჭედილი „მერსედესებით“, საიდანაც გადმოდიოდნენ პირადი მძღოლებითა და პირქუში მცველებით შემორტყმული საქმოსნები და განგსტერები. რეპროდუქტორებიდან როკ-მუსიკა იღვრებოდა. რადიოდან მაყურებლებს მიმართავდნენ, თანაც ინგლისურად — მოთამაშეებს ეცით პატივი და მობილური ტელეფონებით ნუ ისარგებლებთო...

ყოველივე ამის შემდეგ ამერიკელი სპორტსმენების გამარჯვებაცა და სასალათეც ანუ დევისის თასი, გაუფერულებულა. პიტ სამპრასსა და კომპანიას დიდი ძალისხმევისათვის მიუმართავთ, რომ როგორმე „ძველი ეშხი“ ეგრძნოთ: წითელ მოედანზეც გასულან, ლენინის მავზოლეუმის ფონზე ჯგუფური ფოტოსურათიც გადაუღიათ, ამასთანავე პიტს „დამატებითი“ გმირობა გამოუჩენია — სურათი საბჭოთა არმიის ჯარისკაცის კოკარდიანი ყურებიანი ქუდით გადაუღია.

ვერ უშველათ ვერც ჩოგბურთის მოედანზე გამარჯვებამ, ვერც წითელ მოედანზე ფოტოგრაფირებამ: ბილ კლინტონმა თეთრ სახლში არ მიიწვია პიტ სამპრასი და კომპანია. ეგ წითელი მოედანი რა დიდი ამბავია, როცა კრემლში დაიანა როსს უმღერია! ან „გუში“ რა წითელი კოჭია, მალე იქ კოსმეტიკით ივაჭრებს თვით კლაუდია შიფერი! (კოსმეტიკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ 8 დეკემბერს სახელგანთქმული ფოტომოდელი მარლაც მონაწილეობდა ჩაცმულობის სიახლეთა ჩვენებაში. მოსკოვში იგი ორ „ორეულთან“ ერთად ჩამოფრენილა. სასტუმრო „პალასში“ მზეთუნახავის პატივსაცემად მიღება გამართა, რომელზეც მან თაყვანისმცემლებისათვის ავტოგრაფების დარიგება ინება. სხვათა შორის, ამ ვიზიტისათვის ჰონორარის რაოდენობა უცნობი დარჩა).

ასეა თუ ისე, ჩოგბურთელები ნაწყენი არიან და შურით იხსენებენ თუ როგორ იწვევდა პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი თეთრ სახლში ამერიკელ სპორტსმენებს, ვინც 60-იან და 70-იან წლებში „ამ რუსებს“ ამარცხებდა. იგონებენ 80-იან წლებსაც, როცა პრეზიდენტი რონალდ რეიგანი მათ კოლეგებს მისალოც დეპეშებს უგზავნიდა და ასევე ეპატიჟებოდა თეთრ სახლში ლენჩზე. წავიდა ის დრო, ახლა სხვა ქარმა დაუბერა.

„კომუნიზმის დამარცხება ეგებ სასარგებლოც იყოს მთლიანად კაცობრიობისათვის, მაგრამ ამით სპორტს გარკვეული დრამატიზმი მოაკლდა. ახლა ჩვენ ყველა ერთი სახისანი ვართ. ახლა ჩვენ ერთსა და იმავე დოლარებს დავსდევთ“ — ასეთი დასკვნა გამოიტანა ამერიკელთა ნაკრების მწვრთნელმა ტომ გულიკსონმა.

მოამზადა თამაზ ებანოიძემ

ეროსი მანჯგალაძე
ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი და გამოჩენილი ადამიანები

ეროსი მანჯგალაძე — საფეხბურთო მიკროფონის ჯადოქარი!

ამ საუკუნის ოცდა წლებში ფოთში ისე არ გაიმართებოდა საფეხბურთო მატჩი, ახლო-მახლო უბნის ბიჭებს ბრაგუნი რომ არ აეტეხათ სტადიონზე მდგარ ერთ დიდ, ბენზინისა თუ მაზუთის რკინის კასრზე. მისი ეჭო — გამოძახილი მთელ ფოთს ეფინებოდა და ყველა მაშინვე ხვდებოდა, რომ სტადიონზე ფეხბურთს თამაშობდნენ.

— ჩვენები რომ გაიტანდნენ ბურთს, მოზრდილი ლოდით ერთხელ ჩამოვკრავდით კასრს, მეორე ბურთზე ორჯერ დავკრავდით მაგრად და ასე შემდეგ — ეცინებოდა ლეგენდარულ ბორის პაიჭაძეს — სად ოყო მაშინ ვადიმ სინიავსკი და ნიკოლაი ოზეროვი, დიულა სეგეში და ჩვენი ეროსი მანჯგალაძე.

ეროსი მანჯგალაძე!

ვახტანგ კუტიას ვებოგბრული შარჟი.

ᲕᲘᲜ არ სცადა მანამდე „საფეხბურთო მიკროფონს“ მისჯდომოდა: რადიოს ცნობილმა დიქტორმა დავით ძიგუამ, პოპულარულმა მსახიობმა პიერ კობახიძემ, ჟურნალისტმა ვლადიმერ გაბელიამ. მათი ხსოვნისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, პირდაპირ ვთქვათ: დიდი არაფერი გამოვიდა! ყველაზე მეტად რაც კი ერთ-ერთი მათგანის რეპორტაჟიდან დაგვამახსოვრდა, ნახევრად კომიკური რეპლიკა იყო — „ასლან ხარბედია შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში, როგორც წუწკი მელა“. ეს იყო და ეს! აშკარად იგრძნობოდა, რომ სტადიონზე მდგარ მიკროფონთან უნდა მჯდარიყო ფეხბურთის კარგი მცოდნე სულით პოეტი და მსახიობი. იმპროვიზატორი, თანამედროვე ადამიანი, თბილი, მოსიყვარულე კაცი. სწორედ ასეთი იყო ეროსი მანჯგალაძე!

... საქართველოს რადიომ დიქტორთა კონკურსი გამოაცხადა. კონკურსანტთა შორის ერთი მეცხრეკლასელი მოსწავლეც აღმოჩნდა. გარეგნულად სხვებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ ტანმაღალი იყო, სუსტი აღნაგობის, და კიდევ ის, რომ ბრიალა თვალები და გრძელი ცხვირი ჰქონდა.

ერთი „დეტალიც“ შეუდარებელი ხავერდოვანი ბარიტონი გააჩნდა, აი, ისეთი, ერთხელ რომ მოისმენ და მერე სულ ყურში ჩაგესმის თითქოს. ომი ჯერ დამთავრებული არ იყო და ახალბედას მთავარ დიქტორ დავით ძიგუასთან ერთად ევალებოდა ეთერში ყველაზე მნიშვნელოვან მასალათა გადაცემა, მათ შორის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებისა თუ საბჭოთა ინფორმბიუროს ოპერატიული ტექსტებისა.

იმხანად ქ. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი მამიდაშვილი, მომავალი რეჟისორი შოთა ქარუხნიშვილი სწავლობდა და ბარე ათჯერ მომიტანა ბილეთი საკურსო სპექტაკლ „მდაბიონზე“. შოთა და ეროსი თანაკურსელები იყვნენ,. ორივენი თამაშობდნენ ამ შესანიშნავ სპექტაკლში ნიჭიერ გოგი გეგეჭკორთან, ვალიკო კვაჭაძესთან, ბიჭიკო ანდრონიკაშვილთან და სხვებთან ერთად. ყველაზე მეტად მაინც ეროსი მომწონდა, რადგან... ფეხბურთს გადმოსცემდა. ვუყურებდი მის ტეტერევს და... პაიჭაძეს, სანაიას, ჯეჯელავას, ბერძენიშვილს, გაგუას „ვხედავდი“. პირველსავე ხმის ამოღებაზე ვიცანი, თუმცა ისეთი გრიმი ესვა პირსახეზე, რომ ძნელად შეიცნობდი.

1946 წლის 20 ოქტომბერს თბილისის „დინამო“ თასის გათამაშების ფინალში ხვდებოდა მოსკოვის „სპარტაკს“. მატჩი, რა თქმა უნდა, მოსკოვში ტარდებოდა — გვიან შემოდგომაზე, დათოვლილ ქალაქში, მოყინულ „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე „პეტროვსკის“ პარკში. ეს იყო ეროსი მანჯგალაძის პირველი ოფიციალური რეპორტაჟი და საერთოდ დიდი ფეხბურთის პირველი პროფესიონალური რეპორტაჟი ქართულ ენაზე.

ერთ დროს დიდ ბრიტანეთში მოსკოვის „დინამოს“ ცნობილ ტურნეს დღეებში ვადიმ სინიავსკიზე (ფეხბურთის რეპორტაჟები მას 1935 წლიდან მიჰყავდა) შეყვარებულს, ახლა პირდაპირ მეზიზღებოდა სინიავსკი. ვიცოდი, რომ იგი იმ დღეს... წაგებას უსურვებდა ჩვენს თბილისის „დინამოს“. ო, როგორ მინდოდა „ეროსის გუნდის“ გამარჯვება! მატჩის ტრანსლაციას იმ დღეს რატომღაც მეზობლის რადიოთი ვისმენდი — შავი ფერის თეფშისმაგვარი რეპროდუქტორით. იმედის მომცემად ისმოდა ეროსი მანჯგალაძის ნაცნობი ხმა — კომენტატორმა თითქოს მართლაც „დაასწრო“ მთელი საქართველო ამ გადამწყვეტ პაექრობას მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე. მაშინ გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ იმ დღეს სტადიონზე დიდი-დიდი 50 ათასი კაცი იქნებოდა (ცხადია, ყველა „სპარტაკის“: გულშემატკივარი), აი ჩვენ კი, ქართველები, ოთხი მილიონი „ვესწრებოდით“ ამ მატჩს — თბილისელები, ჭუთაისელები, ბათუმელები, სოხუმელები, გაგრელები...

„შეკარე იოსელიანი, მცველები ფეხლევანიდი, სალდაძე, კიკნაძე, ნახევარმცველები სარჯველაძე, გაგუა, თავდამსმელები ანთაძე, ღოღობერიძე, პაიჭაძე, ბერეჟნოი, პანიუკოვი“ — როხროხობდა ეროსი მანჯგალაძე. გული შემეკუმშა, როდესაც სპარტაკელებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ არ გასულა 5 წუთი, რომ ღოღობერიძემ აიღო ლეონტიევის კარი. შვებით ამოისუნთქა გახარებულმა მიკროფონმა. შუა ტაიმში პაიჭაძემ ზუსტად მიაწოდა ბურთი ანთაძეს და ჩვენები უკვე წინ გავიდნენ. ეროსი კინაღამ გადაირია სიხარულით, დარჩენილ წუთებს ითვლიდა სულ. არადა, თამაშის დამთავრებამდე საკმაოდ ბევრი დრო იყო — 68 წუთი! იქნებ ტაიმი მოვიგოთ, მერე კი ვნახოთ, ალბათ გავუძლებთ „რაღაც 45 წუთს“. ვერ შევძელით: გლაზკოვმა შესვენებამდე 7 წუთით ადრე გაქვითა ანგარიში.

ეროსი, თქმა არ უნდა, ახლა დინამოელთა გასახდელშია! რას ეუბნება ნეტავი ბიჭებს მწვრთნელი ანდრო ჟორდანია, რას გვეტყვის საიმედოს ეროსის ხმა მეორე ტაიმში?

კვლავ ჩვენების თავბრუდამხვევი იერაში, მაგრამ ბურთი არადა არ გადის მეტოქის კარში. იგი ხან დასანანად ცდება მიზანს, ხან კი მეკარე ლეონტიევის ნადავლი ხდება. იწურება ძირითადი დრო. ინიშნება დამატებითი 30 წუთი. აბა, შენ იცი... ეროსი! აუჰ, ეს რა ხდება: მოსკოველთა ნახევარმცველს ოლეგ ტიმაკოვს თავური დარტყმით ვარდნაში გააჭვს ბურთი იოსელიანის კარში. ჩვენი მეკარე აშკარად არ ელოდა დარტყმას. შოედანზე პანიუკოვის ნაცვლად ხარბედია გამოდის. მთელი გუნდით გადავდივართ შეტევაზე. ეროსი წუთებს ითვლის: ეჰ, რა მალე გარბის დრო?! დინამოელები ზედიზედ ხუთჯერ აწვდიან კუთხურს, მაგრამ უშედეგოდ. მატჩის არბიტრი (ცხადია, მოსკოველი) მიხაილ დმიტრიევი ხელებს აღმართავს — გაისმის ფინალური სასტვენის ხმა. ბროლის თასი

მიკროფონის ჯადოქარი — საფეხბურთო მოედანზე.

ისევ მოსკოვში რჩება! დასანანია, მით უფრო, რომ 1945 და 1946 წლების სეზონებში თბილისის „დინამო“ ამ ფინალამდე ხუთჯერ შეხვდა „სპარტაკს“ (ერთხელ-წინა სეზონის თასის მეოთხედფინალში) და ხუთივეჯერ გაიმარჯვა. წარმოიდგინეთ, საფეხბურთო მოსკოვი მატჩამდე შერიგებული იყო საპატიო თასის გამგზავრებას სამხრეთისაკენ, მაგრამ ჩვენი დინამოელები თბილისში ხელმოცარულნი დაბრუნდნენ.

ახლა კი ნამდვილად გარიცხავენ ეროსის ინსტიტუტიდან — მისი რექტორი, ბატონი აკაკი ხორავა აბა რას მოითმენს სტუდენტის ასეთ თავნებურ საქციელს. დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ეროსი მანჯგალაძე იმ პერიოდში თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო და თვითნებურად გაიპარა მოსკოვში რეპორტაჟის გადმოსაცემად. ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი ანთაძე იხსენებდა მოგვიანებით,. თუ „სპარტაკთან“ ფინალური მატჩის დღეს როგორ მივიდა მათთან „დინამოს“ სტადიონის საერთო საცხოვრებელში მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის, მორცხვი ახალგაზრდა, მოკრძალებით მიესალმა ფეხბურთელებს და გაუბედავად განაცხადა თბილისიდან გამოპარული ვარო მატჩის რეპორტაჟის გადასაცემად და თუ მოვიგებთ შეხვედრას, ბატონი აკაკი ხორავა ნამდვილად არ გამრიცხავსო ინსტიტუტიდან.

ეროსი მანჯგალაძე თბილისის „დინამოში“ ფეხბურთელებმა ისე მიიღეს, როგორც საკუთარ ოჯახში, ხშირად დაყვებოდა მატჩებზე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, თბილისში ჩატარებულ თამაშებს ხომ სულ ერთთავად იგი გადასცემდა — ეროსი მაშინ ერთადერთი იყო საქართველოში და, თამამად შეიძლება ითქვას, პირველი პროფესიონალი სპორტული კომენტატორი მიკროფონთან.

მართლაც განუზომელია ის დიდი პროპაგანდა, რომელიც ე. მანჯგალაძემ გაუწია ქართულ ფეხბურთს. ვინ მოთვლის, რამდენ ჭაბუკს შეაყვარა ტყავის ბურთი. აკი სწორედ ამას ემადლიერებოდა ბატონ ეროსის ჩვენი დიდებული ფეხბურთელი ალექსანდრე ჩივაძე, ამასვე იმეორებდა შესანიშნავი ქართველი ფალავანი რომან რურუაც: ეროსი მანჯგალაძის რეპორტაჟებმა შემაყვარა ფეხბურთი და თავდაპირველად აკი „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანეს. სწორედ ეროსის მიბაძვით იყო, რომ საქართველოში ბევრმა მოისურვა ტელერადიოკომენტატორობა, თუმცა, რა დასამალია, ეროსისნაირი ჯერ არავინ დაბადებულა ჩვენს საფეხბურთო მიკროფონთან. რა დაგვავიწყეს გულშემატკივრებს მანჯგალაძისეულ ომახიან „არის“!, იმედგაცრუებულ „მაგრამს“, მის შეუდარებელ იუმორს, ენამოსწრებულ რეპლიკებს, ბუნებრივ, ბალას, ემოციურ, „გემრიელ“ ხმას, მოსწრებულ იმპროვიზაციას მიკროფონთან თუ სცენაზე (გავიხსენოთ თუნდაც რეპლიკა „ი“ შტოიანი“, ერთი თვის ხელფასის მოხსნა რომ დაუჯდა ეროსის).

საოცრად კეთილი, უწყინარი, უბრალო, გულმართალი, პატიოსანი, ბავშვივით გულუბრყვილო კაცი იყო ეროსი. აი ვიგრძენით, რომ ზედიზედ ბარე ათჯერ ვახსენეთ სიტყვა „ეროსი“ გვარის გარეშე. მართლაც და, რად უნდა გვარი — იგი ყველასთვის უბრალოდ „ეროსი“ იყო — ჭეშმარიტად სახალხო არტისტი და კომენტატორი. შოუთმენლალდ ველოდით მის რეპორტაჟებს, მერე სუნთქვაშეკრულნი ვუსმენდით, რომ სიტყვა არ გამოგვგამარვოდა. მახსოვს, როდესაც 1975 წლის 21 ოქტომბერს ხუთ ათეულ წელს მიღწეულმა, გადაწყვიტა თავი დაანებებინა რეპორტაჟებისათვის, „ლელოში“ წერილი დაიბეჭდა — „ნუ იზამ ამას, ეროსი!“

ტელევიზია რომ გაჩნდა ჩვენში, ეროსი ვერა და ვერ დააჯინეს მიკროფონთან. არ უყვარდა ტელერეპორტაჟების გადაცემა და არც სპორტის სხვა სახეობებზე იკლავდა თავს მაინცდამაინც. ფეხბურთი და ფეხბურთის რადიორეპორტაჟი იყო მისი ცხოვრება და სიხარული.

მსახიობთა მონაწილეობით მატჩი არ გაიმართებოდა, მინდორზე მათი ნაცადი კაპიტანი, მარცხენა შუამარბი ეროსი მანჯგალაძე რომ არ გვეხილა. გიორგი გეგეჭკორთან, ნოდარ ჩხეიძესთან, კოტე მახარაძესთან, კარლო საკანდელიძესთან, ბადრი კობახიძესთან, თამაზ ქვარიანთან, სოსო ლაღიძესთან და „ყველაზე საშიშ“ ფორვარდთან — იპოლიტე ხვიჩიასთან ერთად. წარმოიდგინეთ, თამაშში „მესხის ფინტეზსაც“ იყენებდა ხოლმე და დიდ სიცილ-ხარხარს იწვევდა ტრიბუნაზე თბილისში იყო ეს თუ ქუთაისში.

ბორის პაიჭაძის თქმისა არ იყოს, ეროსი მანჯგალაძე მართლაც დააკლდა თბილისს. კაცური კაცი, დიდი ქართველი, დიდი მსახიობი და დიდი სპორტული კომენტატორი მთელმა საქართველომ დაიტირა 1982 წლის 29 იანვარს. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ...

ეროსის განუმეორებელი ხმა ჩვენს გულებში მაინც ხმიანობს.

ᲝᲗᲐᲠ ᲜᲝᲜᲬᲐᲫᲔ

აჭარის თასზე

აჭარის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა რვა გუნდი, ბათუმიდან — „არწივი“, „რაინდი“, „პოლიგრაფსერვისი“, „მენავთობე“ და „მეზღვაური“, ხულოდან — „ხიხანი“, ხელვაჩაურიდან ახალშენის „ლაშარელა“ და ქედიდან „ბეთლემი“.

ფინალში გასულმა „არწივმა“ და „მეზღვაურმა“ ნახევარფინალებში შესაბამისად დაამარცხეს „რაინდი“ 8:1 და 6:1 და „მენავთობე“ 0:1 და 2:0.

ორი ტაიმი დამთავრდა ფრედ 2:2. დამატებით დროში ბურთი „მეზღვაურმა“ გაიტანა და გაიმარჯვა 3:2.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა გამოაცხადა, რომ 8 მაისს ფინალური მატჩი თასების მფლობელთა თასზე გაიმართება არა გლაზგოში, როგორც ეს ადრე იყო დადგენილი, არამედ ბელგიის დედაქალაქში — ბრიუსელში.

მიზეზი ისაა, რომ 7-9 მაისს გლაზგოში შედგება კარდიოლოგთა მსოფლიო კონგრესი, ეს კი ხელს შეუშლის ორი დიდი ღონისძიების ერთ ქალაქში გამართვას. ბრიუსელში ეს მატჩი მოეწყობა „ეიზელის“ სტადიონზე, სადაც 1985 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის „ლივერპული“ და იტალიის „იუვენტუსი“, მაშინ მოხდა ტრაგედია. შეტაკებათა შედეგად დაიღუპა 39 ადამიანი. სტადიონი ახლა მთლიანად რეკონსტრუირებულია, ყოველმხრივ პასუხობს უხიფათობის პირობებს, მას მეფე ბოდავენის სახელი ეწოდება.

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ეროვნულმა ნაკრებმა იოჰანესბურგში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან. თამაში ფრედ დამთავრდა — 0-0.

ᲑᲘᲚᲑᲐᲝᲡ „ატლეტიკისა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ხულიან გერერო მიიჩნიეს ესპანეთის 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელად, გარდა ამისა ესპანეთის საფეხბურთო ლიგის აღმასკომმა სხვა კატეგორიებშიც გამოავლინა წლის ლაურეატები: გუნდი — „სარაგოსა“, თასების მფლობელთა თასის მფლობელი; მწვრთნელი — არსენი იგლესიასი („დეპორტივო“); ბომბარდირი — ჩილელი ივან სამოსანო (მადრიდის „რეალი“); მეკარე — პედრო ლუის ხარო („ბეტისი“); ლეგიონერი — დევორ შუკერი („სევილია“); ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე — რაული (მადრიდის „რეალი“); არბიტრი — ანტონიო ლობეს ნიეტო.

ᲠᲝᲛᲨᲘ შედგა სასამართლო, რომელმაც განიხილა ნარკოტიკების კონტრაბანდაში დიეგო მარადონას მონაწილეობის საკითხი. სასამართლომ ფეხბურთელი გაამართლა და მიიჩნია, რომ ძიებამ ვერ მიაგნო დამაჯერებელ მტკიცებებს მის გასამტყუნებლად.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისათვის პარიზში განზრახულია დიდი საფეხბურთო მუზეუმის გახსნა. ამ იდეას მხარი დაუჭირა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ 1995 წლის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბოტაფოგო“ (რიო-დე-ჟანეირო) და „სანტოსი“ (სანტოსი). პირველი მატჩი რიო-დე-ჟანეიროში „ბოტაფოგომ“ მოიგო მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ 2:1, ამასთან საგანგებოდ აღნიშნავენ სანტოსელთა შეკრების ედინიოს საუკეთესო თამაშს, ედინიო კი პელეს შვილია. განმეორებითი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1-1.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „სპარტაკისა“ და რუსეთის ნაკრების საუკეთესო ნახევარმცველი ვიქტორ ონოპკო მომავალ სეზონში ითამაშებს ესპანეთის „ოვიედოს“ შემადგენლობაში.

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ დაასახელეს წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ეს წოდება მიიღო ფან ჩჟი ცზიმ. იგი, ამავე დროს, ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიცაა: 22 მატჩში 15 ბურთი გაიტანა.

იუნიორებიც და ჭაბუკებიც იწყებენ...

როგორ დაკომპლექტდა ჯგუფები

უენევაში გაიმართა იუნიორ (18 წლამდე) და ჭაბუკ (16 წლამდე) ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირების წილისყრა.

იუნიორები. I ჯგუფი. შოტლანდია, ლიტვა, უელსი, ჰოლანდია.
II ჯგუფი. ფარერი, შვეიცია, საფრანგეთი, ლატვია.
III ჯგუფი. ნორვეგია, ბელარუსი, ესტონეთი.
IV ჯგუფი. დანია, ირლანდია, პოლონეთი.
V ჯგუფი. ფინეთი, ჩრდ. ირლანდია, ინგლისი.
VI ჯგუფი. თურქეთი, გერმანია, ბელგია, პორტუგალია.
VII ჯგუფი. მაკედონია, სლოვაკეთი, ხორვატია.

VIII ჯგუფი. ავსტრია, შვეიცარია, აზერბაიჯანი.
IX ჯგუფი. ლუქსემბურგი, მალტა, ჩეხეთი
X ჯგუფი. სლოვენია, ალბანეთი, ესპანეთი.
XI ჯგუფი. რუმინეთი, ისრაელი, მოლდოვა, უკრაინა.
XII ჯგუფი. საბერძნეთი, იტალია, იუგოსლავია.
XIII ჯგუფი. რუსეთი, კვიპროსი, უნგრეთი.
XIV ჯგუფი. ბულგარეთი, საქართველო, სომხეთი.

მატჩები ჯგუფებში უნდა დამთავრდეს 1996 წლის 30 ნოემბრამდე. მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: I და II, III და IV, V და VI, VII და VIII, IX და X, XI და XII, XIII და XIV ჯგუფებში გამარჯვებულნი. აქ გამარჯვებულნი კი მოხვდებიან ევროპის ჩემპიონატის ფინალში. დაემატება მათ ჩემპიონატის მასპინძელი — ისლანდიის ნაკრები. ტურნირის ფინალური ნაწილი მოეწყობა 1997 წელს.

ჭაბუკები. I ჯგუფი. რუსეთი, რუმინეთი, იტალია, აზერბაიჯანი.
II ჯგუფი. იუგოსლავია, ისრაელი, ალბანეთი.
III ჯგუფი. სან-მარინო, უკრაინა, მოლდოვა.
IV ჯგუფი. თურქეთი, საფრანგეთი, მალტა.
V ჯგუფი. საბერძნეთი, საქართველო, ბულგარეთი.
VI ჯგუფი. მაკედონია, ჰოლანდია, სლოვენია, დანია.
VII ჯგუფი. ლიხტენშტეინი, კვიპროსი, ავსტრია.
VIII ჯგუფი. ინგლისი, ჩეხეთი, ისლანდია.
IX ჯგუფი. ხორვატია, ბელარუსი, სლოვაკეთი
X ჯგუფი. პორტუგალია, უნგრეთი, სომხეთი.
XI ჯგუფი. უელსი, შოტლანდია, ნორვეგია, პოლონეთი.
XII ჯგუფი. ესტონეთი, ლატვია, შვეიცარია.
XIII ჯგუფი. ფარერი, ლუქსემბურგი, ისლანდია.
XIV ჯგუფი. ირლანდია, ჩრდ. ირლანდია, ლიტვა.
XV ჯგუფი. ბელგია, შვეიცია, ფინეთი.

მატჩები ჯგუფებში დამთავრდება 1997 წლის 10 მარტამდე. ჯგუფებში გამარჯვებულ 15 ნაკრებს დაემატება მასპინძელი ქვეყანა — გერმანია. აი ეს 16 გუნდი გაითამაშებს ევროპის ჩემპიონატს.

„ჩიკაგო“ — „სან-ანტონიოს“ მატჩის (მე-17 ტური) მეორე შესვენების დროს „იუნაიტედ ცენტრის“ სპორტდარბაზში გაიმართა მინი-საზეიმო ცერემონიალი, რომელიც მიეძღვნა ჩიკაგოელთა ერთ-ერთი ფორვარდის ბობ ლავას დაოჯახებას.

ლავა „ჩიკაგო ბულზის“ მეორე სნაიპერია მაიკლ ჯორდანის შემდეგ ამ კლუბის მრავალწლიან ისტორიაში (12.623 ქულა). თანაგუნდელებმა იუბილარს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. საზეიმო ცერემონიალი დაგვირგვინდა ჩიკაგოს დამაჯერებელი გამარჯვებით — 106:87.

„საკრამენტოს“ ლიდერ მიტჩ რიჩმონდისთვის „სიეტლთან“ მატჩი დასამახსოვრებელი გამოდგა იმით, რომ თავის კლუბს 26 ქულა შესძინა და გახდა ამ კლუბის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერი. მანამდე „საკრამენტოს“ საუკეთესო ბომბარდირად ითვლებოდა, ამჟამად „ფინიქსში“ მოთამაშე, უეიმონ. ტისდეილი. რიჩმონდის გუნდს ამ დღეს სხვა არაფერი ჰქონდა სატრაბაბო: საკუთარ მოედანზე დამარცხდა საკმაოდ დიდი სხვაობით — 17 ქულით (103:120).

„ნიუ-ჯერსს“, რომელსაც თავის დივიზიონში ჯერჯერობით მხოლოდ მეხუთე ადგილი უკავია, საკუთარ მოედანზე არ წაუგია ბრძოლა. ასვთი შედეგით ტრაბახი შეუძლიათ ლიგის მხოლოდ ორ ფავორიტს — „ჩიკაგო ბულზსა“ და „ორლანდო მეჯიკს“.

ნბა-ს საუკეთესო გამთამაშებელი ჯონ სტოკტონი („იუტა ჯაზი“) კიდევ ერთი ორიგინალური რეკორდის ავტორი გახდა. იგი პირველ (სასტარტო) ხუთეულში ზედიზედ 464-ჯერ გამოვიდა მოედანზე.

ნბა-ს ამბები

ბრიზებისათვის ბრძოლაში დაწინაურებულნი

ტრადიციისაებრ, გალათბურთის ეროვნულ ლიგაში (ნბა) უამრავ პერსონალურ პრიზებს ათამაშებენ. ნბა-ს წლევანდელი გათამაშება დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო — სულ 22 ტური გაიმართა, მაგრამ პრეს-სამსახურმა უკვე გამოაქვეყნა პირველი ცნობები დაწინაურებულ კალათბურთელთა შესახებ.

სნაიპერები. მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“). 22 თამაში, 660 ქულა, საშუალოდ 30 ქულა ყოველ მატჩში.

ბრძოლა ფარძვეშ. შონ კემპი („სიეტლი“). 22 თამაში, 274 ქულა, საშუალოდ 12,5 ქულა ყოველ მატჩში.

გადაცემები. ჯონ სტოკტონი („იუტა“). 23 თამაში, 253 გადაცემა. საშუალოდ 11,0 ყოველ მატჩში.

გადაცემის ჩაჭრა. გარი პეიტონი („სიეტლი“). 22 თამაში, 65 ჩაჭრილი გადაცემა, საშუალოდ 3,0 ყოველ მატჩში.

სროლები თამაშიდან. შონ კემპი („სიეტლი“). 22 თამაში, 169 სროლა, 61 პროცენტი ყოველ მატჩში.

3-ქულიანი სროლები. როდ სტრიკლენდი („პორტ-ლენდი“). 22 თამაში, 23 სროლა, 53 პროცენტი ყოველ მატჩში.

საჯარიმო სროლები. ედი ჯონსონი („ინდიანა“). 21 თამაში, 34 სროლა (35-დან), 97,1 პროცენტი ყოველ მატჩში.

გივი მიქაბერიძე

საშუალო თაობის ქართველმა მოჭიდაობეებმა და საერთოდ ქართულმა რაგბმა კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება დაკარგა — 43 წლის ასაკში გარდაიცვალა გივი მიქაბერიძე.

სპორტთან მეგობრობა მძლეოსნობით დაიწყო, იყო ახალგაზრდა პერსპექტიული სპრინტერი. მერე, მეგობრების რჩევით, რაგბის თამაში დაიწყო იმხანად საკმაოდ ძლიერ რკინიგზელთა გუნდში.

ორჯერ გახდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, ლოკომოტიველთა რიგებში კი მრავალჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება, იყო სპორტის ოსტატი.

სპორტულ გუნდებში ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე კოლორიტული ფიგურები. გივი მიქაბერიძეც ასეთი იყო, ყველასთვის საყვარელი, ხალისიანი, იუმორით აღსავსე, მეგობრების მოყვარული, გამტანი, ყველას ერთგული თანამდგომი. როცა საჭირო გახდა, როგორც პატრიოტმა, ხელში იარაღიც აიღო — იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

ისეთები, როგორიც გივი მიქაბერიძე გახლდათ, პიროვნული თვისებებითაც ღირსეულ კვალს სტოვებენ როგორც სპორტში ისე, საერთოდ, ცხოვრებაში. ასეთებს ბაძავენ ახალგაზრდები, სამაგალითო პიროვნება მათი იდეალი ხდება. ჩვენმა უსაყვარლესმა მეგობარმა ეს დაიმსახურა.

გივი მიქაბერიძემ ღირსეულად მოიხადა კაცური ვალი ამ ქვეყანაზე, მისი სახელი და ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი თანამშრომელი

ნანა გოქსაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საჭადრაკო ამოცანა



შამათი 3 სვლაში (1869 წ.)

ვახტანგ კუციას საახალწლო იუმორი

საჰარასი და გრაფი — მსოფლიო ჩემპიონები

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (იტფ) 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონებად გამოაცხადა პიტ სამპრასი (აშშ) და შტეფი გრაფი (გერმანია). ამ საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტის ბრაიან ტობინის განცხადებით ორივე ლაურეატი ჭეშმარიტად უძლიერესი ჩოგბურთელია ჩვენს პლანეტაზე და სავსებით იმსახურებენ იმ მაღალ ტიტულს, რომელიც მიენიჭათ ერთხმად.

ჯილდოები გამარჯვებულებს გადაეცემათ გაისად პარიზში საფრანგეთის ღია ჩემპიონატის წინ გამართულ სპეციალურ ბანკეტზე.

მანჩესტერში ასწავლიან ქართულს

(პირველი გვერდიდან).

ნებული ვიყავით იმაში, რომ გუნდი შეიცვალა ქინქლაძის წყალობით, რომელმაც წარმატებით გაიარა ადაპტაცია და ცალკეულ მატჩებში სასწაულებს ახდენდა...

ჯორჯს (ინგლისელი ჟურნალისტი რიკ ჯორჯი) მიაჩნია, რომ ქინქლაძის გარეშე „მანჩესტერი“ აღმავლობის გზას ვერ დაადგებოდა. „იგი შესანიშნავი დისპეტჩერია, დრიბლიორი. იმას, რასაც ის მარცხენა ფეხით სჩადის, ჩემპიონატის ვერც ერთი მონაწილე ვერ გააკეთებს. დროა პარტნიორებმა ისწავლონ ქართული, რომ უფრო უკეთ შესძლონ მისი გაგება.“

„გიორგი, რა თქმა უნდა, ტალანტია. მისი თამაში აღტაცებას იწვევს. უნდა ნახოთ რას აკეთებს იგი ვარჯიშებზე, — ამბობს გუნდის მწვრთნელი ალან ბოლი (1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი). „ლიდსთან“ თამაშის დროს თავდაპირველად ყველა თომას ბროლინს ადევნებდა თვალს. იგი ჩემპიონატში თავის პირველ შეხვედრას ატარებდა, მაგრამ მაყურებელი მალე მიხვდა, რომ მოედანზე მთავარი ქინქლაძე იყო. შემთხვევითი როდია, რომ „მანჩესტერმა“ ერთადერთი გოლი სწორედ მისი პასით გაიტანა.“

იმ დღეს „ლიდსის“ მწვრთნელმაც აღიარა, რომ თამაშის გმირი ქართველი ლეგიონერი იყო. „ქინქლაძე სწრაფი, ჭკვიანი და გაბედული მოთამაშეა. მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოატყუოს ორი-სამი მეტოქე და მისცეს გადამწყვეტი პასი. ქინქლაძეს თამამად შეუძლია გახდეს სეზონის საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი. მაგრამ დღეს უკვე ცხადია, რომ იგი მაღალი კლასის ფეხბურთელია.



თარაზულად: 7. მსოფლიოში ცნობილი ქართველი მკლავჭიდელი, 8. ფეოდალურ იაპონიაში კარგად გაწვრთნილი სამხედრო პირი, 9. სახელგანთქმული დანიელი ფეხბურთელი, 10. ცნობილი ქართველი ფალავანი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, 14. ცხენთა საასპარეზო, 16. მეხიკოს სტადიონი, 18. ქართველ მორაგბეთა გუნდი, 19. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე, 21. საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი, 23. ჭიდაობაში — ტრიალი ანუ..., 24. სპორტსმენის მიერ შედეგით დაკავებული მდგომარეობა, 25. ქართველი ძალოსანი, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი, 29. პირველი ბულგარელი სპორტსმენი, რომელმაც მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა, 30. მაუდგადაკრულ მაგიდაზე თამაშობა, 31. მსაჯი ანუ..., 32. უღელტეხილი კახეთის რეგიონში.

შვეულად: 1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 2. ფეხბურთში ევროპის 1992 წლის ჩემპიონი ქვეყანა, 3. ამერიკელი მძლეოსანი, 4X100 მ. ესტაფეტაში ოლიმპიური ჩემპიონი (1928 წ.), 4. მაღალი ჯილდო ჭადრაკში და ხელოვნებაში, 5. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი 200 მ. რბენაში, 6. რაგბიში გოლის გატანა, 11. შეფასება ძიუდოში, 12. სუსტი მეტოქისათვის უპირატესობის მიცემა, 13. ჩემპიონატში გამარჯვებული, 15. მჭიდრო მეურვეობა კალათბურთში, ფეხბურთში..., 17. ქართველი ვაჟი მოჭადრაკე, ეტიუდისტი, 18. ოლიმპიური კოდექსი, 20. სპორტული კლუბი ჩელიაბინსკში, 22. აღლუმის მედროშე, 25. სიმფეროპოლის საფეხბურთო გუნდი, 26. სპორტული ნავების შესანახი ადგილი, 27. წონა ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში... 28. ვ. ბარჭაიას ზედმეტსახელი.

„ლელოს“ 48-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მანძილი, 8. ალამდარი, 9. ბურუჩაგა, 11. კაისა, 12. კერესი, 13. კლარკი, 18. კორეა, 20. გურიელი, 21. კოვში, 22. ბაგირი, 23. კატერი, 27. ვიალი, 28. ანიკინი, 29. ალამი, 32. „ხიხანი“, 33. თამაში, 34. ხალთა, 36. ბომელსკი, 37. საუთჰოლი, 38. კიზირია.

შვეულად: 2. ახრიკ, 33. ლაუდა, 4. ოლივეირა, 5. უდრასი, 6. გურული, 7. ოგონკოვი, 10. მიურია. 14. ჩკალოვი, 15. კუდრინა, 16. კლიაინი, 17. ნიგერია, 19. ატაკი, 21. კურკა, 24. მაკინროი, 25. სკობლა, 26. ცაიშვილი, 30. ანხელი, 31. შამათი, 34. ხოკეი.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. წოწორია